პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 153 (13547) | ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერშია:
- თათბირი ბუქარესტში
- ოცდათხუთმეტი წელი პროპაგანდისტად
- ზღვა მთებში
- მსოფლიოს ახალი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მრისხანე ხმა

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის სამხედრო ხროვის დანაშაულებრივი ავანტიურის მასშტაბის გაფართოება, ვანდალიზმის ახალი აქტი — ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების დაბომბვა აგრესიის გაძლიერებისაკენ მიმართული სხვა ნაბიჯები — ყოველივე ეს იწვევს შეშფოთებას, მრისხანებას, გულისწყრომას ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე. ხალხის მრისხანების ქარიშხალი ბობოქრობს მსოფლიოში. ხალხები აღშფოთებული არიან ცინიზმით, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ფეხქვეშ თელავენ სამართლისა და ადამიანურობის ელემენტარულ ცნებებს, ხალხები გმობენ მათ ცდებს დაამკვიდრონ ძალის მგლური კანონი როგორც თავიანთი საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი არგუმენტი.

ვიეტნამის ომი ძალზე აღელვებს ადამიანებს, მიუხედავად იმისა, თუ რა შორს ცხოვრობენ ისინი მისგან. ისინი აღშფოთებული არიან ოკეანის გაღმიდან მიღებული ცნობით იმის შესახებ, რომ პენტაგონი ადგენს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის, სამრეწველო საწარმოების, საირიგაციო ნაგებობების დაბომბვის გეგმებს. სოლიდარობა ვიეტნამის გმირ ხალხთან, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმის უფლებისათვის, რომ ბატონ-პატრონი იყოს საკუთარ სახლში, ჩვენი დროის ნიშანი გახდა. სხვადასხვა ქვეყნის მუშები და გლეხები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარლამენტარები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერები პროტესტს აცხადებენ ინდოჩინეთში აგრესიის წინააღმდეგ და მოითხოვენ მის შეწყვეტას. ყველა კონტინენტზე ახლა გაისმის ლოზუნგი „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“

კაცობრიობის სიმპათიები თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა. ინტერვენტთა სამხედრო ძლიერებას, ომის წარმოების ბარბაროსულ მეთოდებს ისინი უპირისპირებენ გაზრდილ საბრძოლო ოსტატობას, შეუდრეკელ მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. აგრესორები უკვე სასტიკად აგებენ პასუხს თავიანთი ავანტიურისათვის. ათასობით ამერიკელმა ჯარისკაცმა ჰპოვა საფლავი ვიეტნამის მიწაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ასობით მფრინავი დაიღუპა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. როგორც აღნიშნულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ვიეტნამში სამხედრო ესკალაციის ყოველი საფეხური განწირულია. ამერიკელ აგრესორთა ყოველ დანაშაულებრივ აქციას ჩაფუშვა მოელის.

ამ დღეებში უდიდესი ძალით გაისმა მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მრისხანე ხმა. გმობენ რა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დანაშაულებრივ პოლიტიკას, ამ სახელმწიფოთა ხალხები და მთავრობები კვლავ მტკიცედ ადასტურებენ სრულ სოლიდარობას ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ობიექტების ბარბაროსულ დაბომბვასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ დაადასტურა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება ყოველი ღონისძიებით დაეხმაროს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას პოლიტიკურად, ეკონომიურად და თავდაცვის საშუალებებით იმპერიალისტური თავდასხმის მოსაგერიებლად. „ეს მხარდაჭერა გაეწევა იმ ოდენობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დავეხმაროთ ვიეტნამელ ხალხს დაიცვას თავისი სამართლიანი საქმე, — ნათქვამია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში. „...ვიეტნამის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება გამოინახოს მხოლოდ იმ პროგრამების საფუძველზე, რომლებიც წამოაყენეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა“.

კომუნისტური და მუშათა პარტიები მიმართავენ მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს შეკავშირდნენ ამერიკელი აგრესორებისათვის პასუხის გასაცემად. მაგალითად, საფრანგეთის კომუნისტური პარტია განცხადებაში გმობს ამერიკის აგრესიის ახალ საფეხურს როგორც „დანაშაულებრივ აქტს, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ამერიკის იმპერიალიზმის სურვილს მოსპოს მთელი ხალხი, რომელიც იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“. კომუნისტები მოუწოდებენ ხალხის მასებს მოაწყონ გამოსვლები იმ მოთხოვნების ლოზუნგით რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და შეწყდეს ამერიკის ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში.

ПРАВДА
5 ივლისის მოწინავე

აგრესორებს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები. მათ კარგად იციან ავაზაკური ჩვევები ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელმაც იკისრა მსოფლიო ჟანდარმის ფუნქციები. იმათ, ვინც იარაღით ხელში იბრძვის უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, და იმათ, ვისაც ბრძოლით უხდება მოპოვებული თავისუფლების დაცვა იმპერიალისტთა და ნეოკოლონიზატორთა ხელყოფისაგან, ესმით, რომ აგრესორების მიერ აღებული კურსი აბუჩად იგდებს მათ იმედებს დამოუკიდებლად განვითარდნენ არჩეული გზით, მათ მისწრაფებებს სოციალური პროგრესისა და მშვიდობისაკენ.

ამერიკის იმპერიალიზმის თავხედურ მოქმედებას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები უპირისპირებენ მზარდ შეკავშირებასა და სოლიდარობას, მზარდ მოქმედების ერთობას საერთო ინტერესებისათვის ბრძოლაში. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხების სოლიდარობის ორგანიზაციის აღმასრულებელმა სამდივნომ სამი კონტინენტის ხალხთა სახელით მრისხანე აღშფოთება გამოთქვა ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების ბარბაროსული დაბომბვის გამო და კვლავ განაცხადა, რომ ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან პატრიოტულ ბრძოლას ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. მშვიდობისათვის მებრძოლები, რომლებიც მოუწოდებენ ხალხებს მხარში ამოუდგნენ გმირ ვიეტნამს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაადასტურონ თავიანთი სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან არა სიტყვით, არამედ კონკრეტული მოქმედებით. მათი ნების შესასრულებლად მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ჟენევის სესიამ თავის მოწოდებაში, რომ გაფართოვდეს მსოფლიოს ხალხთა მოქმედება აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად, აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო აქტიურად, ვიდრე ოდესმე, ჩაებან ყველა ფორმის ბრძოლაში. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ხალხებს აბსოლუტურად არავითარი მხარდაჭერა არ გაუწიონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ომს, ყველა შესაძლო საშუალებით ხელი შეუშალონ შეერთებული შტატების მიერ ჯარისკაცების შეგროვებას ვიეტნამელთა დასახოცავად, შეაფერხონ ამერიკის ჯარებისა და იარაღის ტრანსპორტირება სამხრეთ ვიეტნამში.

მთელ მსოფლიოში ძლიერდება შეერთებული შტატების მორალური, დიპლომატიური და პოლიტიკური იზოლაცია. „შეერთებული შტატების ყველაზე ახლო მოკავშირეებიც კი ჩქარობენ გაემიჯნონ ჩვენს პოლიტიკას“, — აღიარა ამასთან დაკავშირებით ამერიკელმა სენატორმა ფულბრაიტმა. ამერიკის სამხედრო ხროვის მიერ ნაკარნახევი უგუნური აქციები აშორებენ ვაშინგტონს იმათ, ვინც წინათ მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას ან უცხადებდა მათ „გაგებას“. დასავლეთის ბევრი სახელმწიფოს მთავრობებს, მათ შორის ნატოში ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორებს, არ ძალუძთ უგულებელყონ ზეგავლენა, რასაც მათზე ახდენენ საზოგადოებრიობის ფართო ფენები. ამ ქვეყნების ხალხები თავიანთი მთავრობებისაგან მოითხოვენ არა მარტო გაემიჯნონ ამერიკის პოლიტიკის ავანტიურისტულ კურსს, არამედ პოლიტიკური და დიპლომატიური ხაზითაც განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამერიკის აგრესიის შესაწყვეტად.

იზრდება ხალხთა მოძრაობა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ თვით შეერთებულ შტატებშიც, სადაც პრესის ბევრი ორგანო, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები აგრეთვე გამოთქვამენ მზარდ შეშფოთებას სახიფათო მოქმედების გაძლიერების ვაშინგტონის კურსის გამო. ამერიკელები თავიანთ პროტესტს გამოთქვამენ არა მარტო განცხადებებით, არამედ ომისსაწინააღმდეგო აქტიური გამოსვლებითაც.

ამ დღეებში მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა, საბჭოთა ადამიანები მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად მტკიცედ აცხადებენ: ვიეტნამის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს!

გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ ინერგება ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. სურათზე: მემანქანე-მექანიზატორი გ. მალანია ფოთლის საკრეფ მანქანასთან.

ფოტო ს. კილაძისა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

კამბოჯის საზღვრებზე უკანასკნელ ხანს მომხდარი ამბები სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებს. საიგონის ხელისუფალნი, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, და ტაილანდის მმართველი წრეები აძლიერებენ პროვოკაციულ მოქმედებას ამ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. ამერიკა-საიგონისა და ტაილანდის შეიარაღებული ძალები სისტემატურად არღვევენ კამბოჯის საზღვრებს და იჭრებიან მის ტერიტორიაზე. ამერიკის შეერთებული შტატები აძლიერებენ სამხედრო-პოლიტიკურ ზეგავლენას კამბოჯაზე. ეჭვი არ არის, რომ პროვოკაციების აქტივიზაცია კამბოჯის საზღვრებზე, რომლებიც ხელშეუხებელი უნდა იყოს, პირდაპირ დაკავშირებულია ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გაფართოებასთან.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი დამქაშების მოქმედება ნეიტრალური კამბოჯის წინააღმდეგ, მათ მიერ კამბოჯის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა აშკარა დარღვევაა კამბოჯის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებისა, რომელთა მონაწილეებმა დასკვნითი დეკლარაციის მე-12 მუხლის შესაბამისად ვალდებულება იკისრეს დაიცვან ამ ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული ერთიანობა და მთლიანობა და თავი შეიკავონ მის საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან. ეს არის ნეიტრალიტეტის უხეში დარღვევა, რომელიც კამბოჯამ გამოაცხადა 1957 წლის 6 ნოემბერს.

საბჭოთა კავშირში პატივს სცემენ კამბოჯის ხალხისა და მთავრობის გამძლეობასა და მამაცობას, რომლებიც მტკიცედ იცავენ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი დიდად აფასებენ დადებით როლს, რომელსაც კვლავ ასრულებს მშვიდობისმოყვარე კამბოჯა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მის მეცადინეობას შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა ამ რაიონში.

ახორციელებს რა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ლენინურ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი მტკიცედ ილაშქრებს ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ ხალხთა საშინაო საქმეებში, მოითხოვს პატივი სცენ ყველა ქვეყნის, დიდი თუ პატარა ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ხალხთა სუვერენული უფლებების პატივისცემის პრინციპები თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებია. ეს კვლავ დადასტურდა იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიამ საბჭოთა მთავრობის ინიციატივით მიიღო დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებლობისა და მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ცნობს და პატივს სცემს კამბოჯის დამოუკიდებლობას, ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ თუ ყველა სახელმწიფო პატივს სცემს კამბოჯის სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თავს შეიკავებს აგრესიისა თუ ძალადობის ყოველგვარი აქტისაგან ამ ქვეყნის მიმართ, ეს არა მარტო შეესაბამება ჟენევის შეთანხმებებს, საერთაშორისო სამართალს, არამედ დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სამომხმარებლო კოოპერაციის მეთხუთმეტე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საქართველოს კოოპერაციის ყველა წევრს.

რესპუბლიკის კოოპერატორთა ყრილობა შეიკრიბა მნიშვნელოვან დროს, როცა სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

მეტად დიდი და პასუხსაგები მოვალეობა აკისრია საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციას. იგი მოწოდებულია ყოველმხრივ გააკეთოს იმისათვის, რომ ამაღლდეს სოფლად ვაჭრობის დონე, განამტკიცოს ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირი და ამით დაეხმაროს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა სოფლის მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. რესპუბლიკაში ცოტა როდია მოწინავე კოოპერაციული ორგანიზაცია, რომლებიც მეპაიეთა აქტიურობაზე დაყრდნობით ფართოდ იყენებენ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, უფრო სრულად აკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

უაღრესად სერიოზული ამოცანები დგას სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე მიმდინარე ხუთწლედში. კოოპერატორები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში ძირეულად გააუმჯობესონ კოოპერაციული ვაჭრობა, მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის საფუძველზე აამაღლონ სოფლის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების კულტურა, უზრუნველყონ ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საშენი მასალებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონლით შეუფერხებელი ვაჭრობა, გააფართოონ და გააუმჯობესონ პურის ცხობა, საზოგადოებრივი კვება, უკეთ მოაწყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის საქმე, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ნამეტი პროდუქციის და ნედლეულის გასაღებაში. მათი მოვალეობაა აგრეთვე მკვეთრად გააუმჯობესონ კოოპერატორთა კადრების შერჩევა-განაწილება და აღზრდა ხალხისადმი უანგარო სამსახურის სულისკვეთებით, კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპების ურყევად გატარებით აამაღლონ მეპაიეთა აქტივობა, გააძლიერონ ბრძოლა კოოპერაციული საკუთრების დაცვისათვის, სახსრების ეფექტიანი ხარჯვისა და მომჭირნეობისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია წარმატებით განახორციელებს დაკისრებულ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა და კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მეგობარ ალჟირელ ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰუარი ბუმედიენს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ მიესალმებიან ეროვნული დღესასწაულის — ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავის გამო.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, გულწრფელად უსურვებენ მოძმე ალჟირელ ხალხს შემდგომ წარმატებებს, რევოლუციის მონაპოვრების, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დეპეშაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ კვლავაც განმტკიცდება საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრობა ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ. (საქტესი).

მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე ევროპაში

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა წერილი გაუგზავნეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვალტერ ულბრიხტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვილი შტოფს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდენტს იოჰანეს დიკმანს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს ერიხ კორენსს. წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანებმა დიდი მადლობით მიიღეს სიტყვები და გრძნობები, რომლებიც გამოხატულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დეპეშაში საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის 25 წლისთავის გამო.

22 ივნისის დღე მუდამ მოგვაგონებს ხალხთა დიდ პასუხისმგებლობას მშვიდობის ბედისათვის, ახლანდელი და მომავალი თაობათა სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის, აღნიშნავენ საბჭოთა ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოსთან ერთად ფხიზლად დგანან მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე ევროპაში. საბჭოთა ხალხმა იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის. მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთობა და შეკავშირება, მისი ძლიერებისა და გავლენის განმტკიცება სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში წარმატებათა საწინდარია. (საქტესი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

ბუქარესტი, 4 ივლისი. (საქტესი). დღეს ნაშუადღევს ბუქარესტში რესპუბლიკის სასახლეში გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან —

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ტოდოროვი, სახალხო თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ჯუროვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბაშევი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. პოპოვი, ბულგარეთის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ა. სემერჯიევი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში გ. ბოგდანოვი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან —

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე დ. კალაი, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. აპრო, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. პეტერი, თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. ცინეგე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. პარდი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან —

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. აქსენი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაისი, საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ვინცერი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ჰ. ჰოფმანი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან —

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კლიშკო, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი პოლონეთის მარშალი მ. სპიხალსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბრონის გენერალი ბ. იარუზელსკი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან —

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნიკულესკუ-მიზილი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. დალეა, შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი ლ. სალაჯანი, საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მანესკუ;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან —

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ი. კ. ჟეგალინი; (?)

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან —

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე ი. ლენარტი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ბ. ლომსკი.

თათბირში მონაწილეობს აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

თათბირი გახსნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელიც გულთბილად მიესალმა ბუქარესტში ჩამოსულ დელეგაციებს.

პირველი სხდომა მიმდინარეობდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის ტ. ჟივკოვის თავმჯდომარეობით.

ბუქარესტი, 5 ივლისი. (საქტესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი. დღის სხდომას თავმჯდომარეობდა ამხანაგი იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

საუზმე ბუქარესტის თათბირის მონაწილე დელეგაციათა პატივსაცემად

ბუქარესტი, 4 ივლისი. (საქტესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დღეს საუზმე გამართეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ჩამოსული დელეგაციების პატივსაცემად, იუწყება აჟერპრეს სააგენტო.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახელით რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ გულთბილად მიესალმა თათბირის მონაწილეებს.

საუზმემ მეგობრულ და გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ბერტილი თბილისიდან გაემგზავრა

ბუშინ, 5 ივლისს შვეციის უფლისწული ბერტილი, შვეციის სახელმწიფო სპორტული კავშირისა და ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, და მისი თანამგზავრები თბილისს გამოემშვიდობნენ. აეროდრომზე წასვლის წინ უფლისწულმა ბერტილმა ინტერვიუ მისცა საქტესის კორესპონდენტს.

— უწინარეს ყოვლისა, — განაცხადა მისმა სამეფო უმაღლესობამ, — მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებანი საქართველოზე. მათი ჩამოყალიბება აქ შეიძლება: შთაბეჭდილება შესანიშნავია. საქართველო ლამაზი ქვეყანაა და ხალხი აქ მეტად სტუმართმოყვარეა.

სამწუხაროდ, თქვა შემდეგ უფლისწულმა ბერტილმა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, და კერძოდ, საქართველოში, ძალიან ხანმოკლეა. ამიტომ, რასაკვირველია, ვერ სრული წარმოდგენა გვექნებოდა რესპუბლიკის შესახებ. იმედი მაქვს, რომ განვაახლებ კონტაქტებს, შევძლებ უფრო დიდი ხნით ჩამოსვლას საქართველოში.

მაგრამ ამ მოკლე ხანშიც კი, თქვა უფლისწულმა, ბევრის ნახვა მოვასწარით საქართველოში. ჩვენი საუბრებისა და შეხვედრების მთავარი მიზანი იყო სასპორტო მუშაობის ორგანიზაციისა და სასპორტო ნაგებობათა გაცნობა. საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ბევრი რამ საგულისხმო ვნახეთ, და ამ მხრივ მოგზაურობა მეტად სასარგებლო იყო“.

უფლისწულმა ბერტილმა საათს დახედა. წასვლამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა.

— შეიძლება საუბარი განვაგრძოთ, — გაიღიმა სტუმარმა. — უკვე აღვნიშნე მოსკოვშიც და თბილისშიც: რაც უფრო ფართოდ განვითარდება სპორტული ურთიერთობა, მით უფრო მეტი შანსია, რომ შევძლებთ მშვიდობიან პირობებში ცხოვრებას.

მანქანების კორტეჟი აეროპორტისაკენ გაემართა. აქ შვეციის უფლისწული და მისი თანმხლები პირები გააცილეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგოშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ, საქართველოს დეპუტატთა საბჭოს დირექტორმა მ. ი. [illegible], საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პ. გ. გელბახიანმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილემ მ. ა. ჰეჭინაძემ და ჟურნალისტებმა.

სპეციალურმა თვითმფრინავმა „ილ-18“-მა კურსი ერევნისაკენ აიღო.

შვედ სტუმრებთან ერთად წავიდნენ სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. პ. ჟაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ფ. მ. მალგინი. (საქტესი).

საუკეთესო მომსახურება მომხმარებელს

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობა

5 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ს. ჯავახიძემ.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ყრილობის პრეზიდიუმში ირჩევენ რ. ი. ფრუიძეს, გ. ს. ძოწენიძეს, შ. ი. ჭანუყვაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, მ. ი. კუჭავას, ა. ნ. ინაურს, თ. ი. ლოლაშვილს, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ე. ივანოვს.

დელეგატებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:
1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საბჭოსი, სამომხმარებლო კოოპერაციის სარევიზიო კომისიისა, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VII ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სავაჭრო, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ დ. მ. მამულაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობისადმი.

ყრილობამ მოისმინა საანგარიშო მოხსენება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მუშაობის შესახებ, რომელიც გააკეთა ნ. ს. ჯავახიძემ. აგრეთვე „ცეკავშირის“ სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. გ. ქვალიაშვილმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ აფხაზეთის კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ი. კობახია, აჭარის კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. ი. ცინაძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. გ. ხარებოვი, ხობის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ტ. ი. გოგინავა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. ზ. თოხაძე, სიღნაღის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. რ. ალავერდაშვილი, გარდაბნის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ო. მ. დუნდუა, გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. ა. ტოლიაშვილი, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ბუკია, ახალქალაქის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ს. აგასარიანი, მარნეულის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ბ. გელიევი, პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ლ. ვარდოშვილი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის აგრონომი ნ. შ. წილოსანი, წითელწყაროს რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ო. ნ. დათუაშვილი.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ი. ე. ჯოხიძის ანგარიში და დაამტკიცა იგი.

ყრილობამ მიიღო რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის კოოპერატორთა, თევზსაჭერი საოკეანო ტრაულერების „შოთა რუსთაველისა“ და „კოლხეთის“ ეკიპაჟთა მისალმებანი.

6 ივლისს ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საქტესი).

ლენინური პრემიების გადაცემა

მოსკოვი, 5 ივლისი. (საქტესის კორ.). დღეს კრემლის დიდი სასახლის სვერდლოვის დარბაზში 1966 წლის ლენინური პრემიები გადაეცათ ლაურეატ მეცნიერებს.

საზეიმო ცერემონიის გახსნაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

სიუხვის ზოლი თბილისის გარშემო

პარტიის გარდაბნის რაიკომის პლენუმი

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მელიორაციას ყველგან თვლიან საყოველთაო სახალხო საქმედ, რადგანაც ზრუნვა მიწისათვის არის ზრუნვა მარცვლის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ჩაის, პირუტყვის საკვების, სამრეწველო ნედლეულის სიუხვისათვის.

მელიორაციის, მიწის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას მიუძღვნა პარტიის გარდაბნის რაიკომის პლენუმი.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნადაშვილმა** თავის მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ნაყოფს მოგვცემს სარწყავი მიწათმოქმედება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსთან შეხამებით. გარდაბნის რაიონში მეტი სარწყავი ფართობია, ვიდრე რესპუბლიკის სხვა რაიონებში. მარტო ზემო სამგორის სარწყავი სისტემა მაცოცხლებელ ტენს აძლევს 34 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. მტკვრის წყალმა, რომელიც ამას წინათ მექანიკური სარწყავი სისტემის მეშვეობით აიყვანეს თელეთის პლატოზე, აყვავებულ მინდვრებად, ბაღებად, ბოსტნებად აქციეს მიწის დიდი მასივი. 11 ათას ჰექტარ მიწას ამარაგებს სარწყავი წყლით გარდაბნის მაგისტრალური არხი გაშტოებებიანად.

თბილისის გარშემო ოდესღაც გაუდაბურ მიწებზე შეიქმნა 23 სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც დედაქალაქისა და რუსთავის მოსახლეობას ახალი ბოსტნეულით, ხილით, სუფრის ყურძნით, რძით, ხორცით, კვერცხით მომარაგების მძლავრი ბაზა გახდა. ამ საბჭოთა მეურნეობებში კვების პროდუქტების წარმოების მასშტაბებზე შეიძლება შემდეგი ციფრების მიხედვით ვიმსჯელოთ. შარშან რაიონში დამზადდა 106 ათას ცენტნერამდე ბოსტნეული, 9.350 ცენტნერი ყურძენი, 70.175 ცენტნერი რძე, 19,5 ათასი ცენტნერი ხორცი, 6.220 ათასი ცალი კვერცხი, ხოლო მიმდინარე, ხუთწლედის პირველ წელს ამ პროდუქტების დამზადების გეგმები 2-3-ჯერ და მეტად იზრდება.

გარდაბნის რაიონის მეურნეობანი წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს. გადაჭარბებით შესრულდება მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმები.

მაგრამ როგორც მოხსენებაში აღინიშნა და თელეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. დალაქიშვილმა, მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. ჭილაშვილმა, რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობის განყოფილების უფროსმა ს. ისაევმა, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თბილისის მექანიკური რწყვის უფროსმა გ. ნიშნიანიძემ, სამგორის ჯიშთსაშენი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილემ მელიორაციის დარგში ვ. გაგანიძემ, გარდაბნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. ჰასანოვმა, მიწათმოქმედების ინსტიტუტის გარდაბნის მებოსტნეობის საცდელი სადგურის დირექტორმა ა. მინდაძემ განაცხადეს, ყველა მეურნეობა როდი იყენებს სრულად სარწყავი მიწათმოქმედების შესაძლებლობებს.

მოყვანილი იყო რწყვისადმი უღიმღამო, ზოგჯერ კი გულგრილი დამოკიდებულების მაგალითები.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბარაქიან მოსავალს და ცხადია უმეტეს შემოსავალს იღებენ ის მეურნეობანი, რომლებიც რაციონალურად იყენებენ სარწყავ წყალს და ამასთან აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსსაც მიმართავენ.

აი მაგალითები. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირის ა. გეგელიშვილის ბრიგადას ჰექტარზე ყოველწლიურად საშუალოდ 160-165 ცენტნერი ბოსტნეული მოჰყავს. რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკმა ლენინის ორდენოსანმა მზურა ალაჰიარ-ყზიმ მისთვის მიჩენილ 0,76 ჰექტარზე 333 ცენტნერი ბოსტნეული მოიწია. პლენუმის მონაწილეებმა ბევრი ასეთი მაგალითი მოიყვანეს. კერძოდ, აღინიშნა, რომ მიწათმოქმედების ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე 600-700 ცენტნერ პომიდორს კრეფენ ჰექტარზე. ასეთი ბარაქიანი მოსავლის მიღება შეიძლება ყოველ რაიონში, მთელ მიწაზე. მაგრამ ყველგან როდი ისწავლეს, თუ როგორ უნდა მიიღონ მიწისაგან ის, რისი მოცემაც შეუძლია. განა ავჭალის საბჭოთა მეურნეობაში არ არის უხვი მოსავლის მოწევის პირობები? არის. მაგრამ აქ ჰექტარზე იღებენ სულ 62 ცენტნერ ბოსტნეულს, თანაც ეს საკმაოდ ძვირი უჯდებათ. რაა გასაკვირია, რომ საბჭოთა მეურნეობას დიდი ზარალი მოსდის ხოლმე.

სულ სხვაგვარი მდგომარეობაა გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც უხვი მოსავლის წყალობით დიდი მოგება და მეურნეობაც ფარავს წინანდელ ზარალს. იაფ და დიდძალ ბოსტნეულს აწარმოებენ სამგორის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები. მეურნეობამ მარტო მებოსტნეობისაგან მიიღო 78 ათასი მანეთი მოგება. წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე თელეთის, ვარკეთილის, სამგორის ჯიშთსაშენი მეცხოველეობისა და მთელმა რიგმა სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, რძის, ხორცის, კვერცხის წარმოების მხრივ რაიონში დიდებითი შედეგებია მიღწეული. მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, უკლებლივ ყველა მეურნეობაში არის დიდი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები. მიწათმოქმედები და მეცხოველეები არ სჯერდებიან იმას, რომ რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მოჰყავთ 107 ცენტნერი ბოსტნეული და თითოეულ ძროხაზე 1.700 კილოგრამ რძეს იღებენ. ამიტომ მეტად მწვავედ დაისვა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მასობრივი დანერგვის საკითხი.

დიდი ყურადღება დაეთმო მრწყველთა კადრების შერჩევას, მათს მატერიალურ სტიმულირებას.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება გულისხმობს მექანიზებული ბრიგადებისა და რგოლების შექმნას. მათ სავსებით გამართლეს თავიანთი დანიშნულება ბოსტნეულის თესვა-მოყვანისას. საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველომ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ამ ბრიგადებსა და რგოლებში შევიდნენ საუკეთესო მექანიზატორები, მრწყველები, ტექნიკოს-მელიორატორები — კვალსინდისეული ადამიანები, რომლებმაც კარგად აითვისეს ახალი ტექნოლოგია, შეუძლიათ მოუარონ და ამრავლონ ხალხის სახსრები, უზრუნველყონ უხვი მოსავალი.

სამართლიანი პრეტენზიები წაუყენეს პლენუმის მონაწილეებმა დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციებს. „ახლა მოსავლის მოყვანაზე ძნელია მისი რეალიზაცია". ეს სიტყვები წარმოითქვა პლენუმზე. ისინი მოუწოდებენ დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებს დაუყოვნებლივ გარდაქმნან მუშაობა. არც ერთი კილოგრამი ბოსტნეული არ უნდა დაიღუპოს. ყველაფერი, რაც გამრჯე მიწათმოქმედთა ხელით არის მოყვანილი, დროზე უნდა მიაწოდონ მომხმარებელს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ი. ქანქუცაძემ.**

(საქინფი).

ალმავლობის გზაზე

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობათა მუშაკები ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის. საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს, ახლა ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების არაჩვეულებრივ მოსავალს იღებენ.

საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების ნახევარი წლის დავალება. სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.087 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 6.340 ტონის ნაცვლად. ეს 3.078 ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო გასული წლის ამავე პერიოდში. ხორცი დამზადებულია 2.055 ტონა — ნახევარი წლის გეგმის 111 პროცენტი, რძე — 12.907 ტონა, გეგმის 102,5 პროცენტი. კვერცხის დამზადების გეგმა განაღდებულია 183 პროცენტით.

მოსკოვში, მოსკოვის ოლქში, ლენინგრადში გაიგზავნა 2.700 ტონა ბოსტნეული, რაც ერთნახევარჯერ და უფრო მეტად აღემატება წლიურ დავალებას.

უხვი მოსავლის მოწევასა და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შემდეგი საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა — სამგორის (დირექტორი მ. ხილოვი, მთავარი აგრონომი ა. კაკაურიძე), გარდაბნის (დირექტორი მ. გასანოვი, მთავარი აგრონომი დ. ჩარჩხალია), დიღმის (დირექტორი ბ. საყვარელიძე, მთავარი აგრონომი გ. ლოსაბერიძე), აწყურის (დირექტორი ნ. სარჯველაძე, მთავარი აგრონომი გ. გვიშიანი), ადიგენის (დირექტორი ნ. კოხოძე, მთავარი აგრონომი ა. მელაძე), სადახლოს (დირექტორი ი. ქერიმოვი, მთავარი აგრონომი მ. მამედოვი).

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ახალი ძალით აჩაღებენ შეჯიბრებას იმისათვის, რომ თბილისის, რუსთავის მოსახლეობას მისცენ რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები, ვადამდე შეასრულონ დამზადების წლიური გეგმა. (საქინფი).

ზვრები და ბაღები ჩვენი სიმდიდრეა

ამბობენ ვაზი და ქართველი ერთად დაიბადნენო. შემოსეული მტერი ქართველ კაცს ჯერ ვენახსა და ბაღს აჩეხავდა, რომ სულიერად და ეკონომიურად წელში გაეტეხა. მაგრამ გადარჩებოდა ხოლმე ბაღ-ვენახები გაჟღრანებას, და ქართველობაც წელში გაიმართებოდა.

ვაზი და ხეხილი მზისა და სიცოცხლის მღენარეებია, მათ მიწის ღიმილსა და გლეხის მარჩენალსაც უწოდებენ. მთელ საქართველოში ცოტაა ისეთი სოფელი, სადაც ვაზი და ხეხილი არ ხარობდეს. ვაზსა და ხეხილს ახარებს კაცი, ვაზი და ხეხილი კი ელებს გულს უხარებს.

საბჭოთა კომუნისტების დიდ ფორუმზე — XXIII ყრილობაზე დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრებაც, გურჯაანში ვენახისა და მევენახის შესახებ დიდი მსჯელობა გამართეს. ახალგაზრდა მევენახეებმა, ქ. გორში კი ახალგაზრდა მებაღეებმა რესპუბლიკურ შეკრებაზე ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, რესპუბლიკური აქტივის კრების, თათბირების გადაწყვეტილებები დიდი ამოცანების წინაშე აყენებს საქართველოს მევენახეებსა და მეხილეებს. ვიდრე მევენახეთა მიმდინარე წლის და ხუთწლედის ამოცანებზე ვილაპარაკებდი, მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე იმაზე, თუ რას მიაღწიეს მევენახეობა-მეხილეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მევენახეებმა გასულ წელს, რა ნაკლოვანებები ჰქონდათ მუშაობაში და როგორ უნდა გამოსწორდეს ხარვეზები.

ყველასათვის ცნობილია, რომ გასულ წელს საქართველოს მევენახეებმა ამინდის ძნელ პირობებში ჯერ არნახული წარმატება მოიპოვეს — სახელმწიფოს მიჰყიდეს 244.500 ტონა ყურძენი. ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში დიდია მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მევენახეთა წვლილი.

შარშან ტრესტში შემავალმა საბჭოთა მეურნეობებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე 48,7 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში თავი გამოიჩინეს ბოდბისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა. აქ საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მიიღეს და დამზადების გეგმა 128 პროცენტით შეასრულეს. ხრამის საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 116 ცენტნერი მიიღო და ყურძნის დამზადების გეგმა 147 პროცენტით შეასრულა. ყულარის საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 112 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ალგეთის საბჭოთა მეურნეობამ — 105 ცენტნერი და სხვ. ყურძნის მოსავლიანობისა და დამზადების გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სამგორის, ტიბაანის, ყვარლის, კარდანახის, წინანდლის, შრომის, საჩხერის, მუკუზნის, ვარკეთილის, ალაიანის, ბოლნისისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა იყო მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ არა მარტო ყურძნის, არამედ სხვა პროდუქტების თვითღირებულებაც გადიდებული იყო. ყურძნის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბების მიუხედავად მეურნეობამ მოგების გეგმა ვერ შეასრულა. მოგების გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე ახმეტის, მუკუზნის, ლილოს, ბოლნისის და რუისის საბჭოთა მეურნეობებმა.

ზოგიერთ მეურნეობაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსავლიანობაზე. ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დიდძალი ყურძენი განადგურდა ვენახებში ნაცრისა და ჭრაქის გავრცელების გამო. მართალია, მეურნეობას დროულად არ ჰქონდა გოგირდი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ათავისუფლებს მეურნეობის სპეციალისტებს პასუხისმგებლობისაგან. სწორედ სპეციალისტთა უყურადღებობითა და მოუქნელი მუშაობის შედეგად ვერ შესრულდა გეგმები. ყურძენი დაავადდა, დაზიანდა, დაიკლო შაქრიანობამ და დამზადების ფასმაც დაიკლო. ამის გამო მეურნეობამ სულ მცირე 340 ათასი მანეთი დაკარგა.

გასულ სამეურნეო წელს რესპუბლიკის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ბევრი რამ გაკეთდა ვენახების მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ, ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაუმჯობესებლად და სხვ.

ამ მხრივ ხუთწლედის პირველ წელს უფრო მეტი სამუშაოები შესრულდება. წელს ახალშენ ვენახებში 1.140 ათასი ნამყენი ვაზის ნერგი გამოირგვება, ხოლო სრულმოსავლიან ვენახებში — 630 ათასი ძირი.

რა მდგომარეობაა საჭირო რაოდენობის ნერგების გამოყვანის საქმეში?

ახალი ვენახების გასაშენებლად და ზვრებში სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ ვაზის ნამყენი ნერგის გამოსაყვანად შარშან 22 მეურნეობაში მოეწყო ნამყენი ვაზის 161 ჰექტარი სანერგეები. ამ ფართობზე მიღებულია 5.607 ათასი ცალი ნამყენი ნერგი. ვაზის ნერგის გამოსავლიანობის გეგმა 36,6 პროცენტით შესრულდა. რა თქმა უნდა, ეს მცირეა. მთელი რიგი მეურნეობანი ამ საქმეს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან, არღვევენ მყნობისა და ნერგის მოვლა-პატრონობის აგროწესებს. ამის გამოა, რომ ბევრგან სრულფასოვანი ნერგის გამოსავლიანობის პროცენტი ჯერ კიდევ დაბალია.

ვაზის ნამყენი ნერგის გამოყვანის საქმე კარგად არის დაყენებული ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მეურნეობის ყოფილი მთავარი აგრონომი თ. შაშიაშვილი. შაშიაშვილის ხელმძღვანელობით 1964 წელს მიღებული იყო 69 პროცენტი პირველი ხარისხის ნერგი, ხოლო შარშან 78 პროცენტი. ეს მაშინ, როცა მუკუზნის, ალის, ნაფარეულის, კარდანახის, ვარციხის, ბოლნისის მეურნეობებში გამოსავლიანობის პროცენტი 18-33-ს არ აღემატება. ჩვენი აზრით ჩამორჩენილებმა უნდა მიბაძონ ახმეტელებს, რაც მათ დიდ სარგებლობას მოუტანს. ახლა აქ შეიქმნა სანერგე მეურნეობა, სადაც ნერგების გამოყვანა აგროწესების ზუსტად დაცვით წარმოებს.

ახმეტელთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვა მევენახეებს დიდ დახმარებას გაუწევს ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის გადიდებაში. მაგრამ შაშიაშვილის მდიდარი გამოცდილების წარმოებაში დანერგვისადმი ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა და პირველ რიგში სანერგე მეურნეობების სპეციალისტები რატომღაც სკეპტიკურად არიან განწყობილი და ავიწყდებათ, რომ ამით ამ საშვილიშვილო საქმეს ნებსით თუ უნებლიეთ ჰვნებენ, ხელს უშლიან.

გამოცდილების გაზიარების მიზნით შარშან მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების სანერგეში მომუშავე სპეციალისტებმა ინახულეს ახმეტელთა სანერგე. ახლა მთავარია მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ და ეს გამოცდილება გადმოვიღოთ. დრო აღარ ითმენს. შაშიაშვილის გამოცდილებას წარმოებაში ფართო გზა უნდა მივცეთ.

ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებმა სანერგის შესაწამლად ბორდოს სითხის ნაცვლად დაიწყეს ცინების გამოყენება, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, მნიშვნელოვნად გადიდდა პირველი ხარისხის ნამყენი ვაზის ნერგის გამოსავლის პროცენტი. ეს კარგი საქმე ფერხდება იმის გამო, რომ ეს პრეპარატი ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება.

როცა ნამყენი ვაზის ნერგის გამოსავლიანობის პროცენტის გადიდებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საძირე ვაზის სადედის მოვლა-პატრონობისა და სტანდარტული ლერწის მიღების საქმეს. ყველა მევენახემ კარგად იცის, რომ ჯანსაღი ლერწი ჯანსაღი ნერგის მიღების უტყუარი საწინდარია. როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში 561 ჰექტარი საძირე ვაზის სადედეა. შარშან ამ ფართობზე მიღებული იყო 11.72 ათასი ცალი სტანდარტული ლერწი, ანუ ჰექტარზე 24,8 ათასი ცალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 29,3 ათასი ცალისა. ტიბაანის, ხრამის, ალგეთის, ყულარის, ნაფარეულის და სხვა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სტანდარტული ლერწის მიღების გეგმა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. ბევრგან ამ მხრივ ცუდად გვაქვს საქმე. ლერწის მიღების გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგან სადედის დამუშავებას და განსაკუთრებით კი ახვევას, ნამხრევების შეცლას აგროწესების დარღვევით აწარმოებენ. ტრესტში გაერთიანებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების, სპეციალისტების საბრძოლო ამოცანა ახლა ის არის, რომ აგროწესების მტკიცედ დაცვით იბრძოლონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ახალ-ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

მინდა მკითხველის და პირველ რიგში ტრესტში შემავალ მეურნეობათა ხელმძღვანელების საყურადღებოდ ხაზგასმით შევეხო ირიგაციის საკითხს. რწყვა მოსავლიანობას რომ ზრდის, ეს არც ახალია და არც უცხოა ჩვენთვის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ საქმეს ყველგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ალაზნის არხს ყველა მეურნეობა სათანადოდ ვერ იყენებს. წესიერი რწყვით კი ყურძნის მოსავლიანობის გადიდება უზრუნველყოფილი იქნება. ჩვენი სადღეისო ამოცანა ის არის, რომ მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ წყლის რესურსები და საპატიო წვლილი შევიტანოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში, სადაც წლიური ატმოსფერული ნალექები ხშირად 300-350 მილიმეტრს არ აღემატება, ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენება და ამ დარგების შემდგომი განვითარება ურწყავად თითქმის წარმოუდგენელია. შაუმიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ამ ბოლო დროს 415 ჰექტარი ვენახი და 150 ჰექტარი ხეხილის ბაღი გაშენდა (ორ წელიწადში კიდევ 300 ჰექტარი ვენახი გაშენდება), სათანადო საინჟინრო სარწყავი სისტემის მოუწყობლობის გამო მცირე დაქანების ნაკვეთებზე უთანაბრო რწყვით ადგილი აქვს ძლიერ ეროზიას. თუ ეს ასე გაგრძელდა, უახლოეს წლებში ვენახებში ნიადაგი გადაირეცხება და საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით. ანალოგიური მდგომარეობაა ლილოს, სამგორის, ყულარის, ხრამის საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სრულებით არ არის საკმარისი ძველი სარწყავი არხების წყალგამტარობა და საჭიროა მათი რეკონსტრუქცია. ჩვენი აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროებმა ამ დარგში [illegible] გადაწყვიტონ [illegible], რაც დადებით გავლენას მოახდენს ვენახებისა და ხეხილის [illegible].

[illegible] ვენახები. ახალი ხუთწლიანი გეგმა ტრესტის მევენახეებს მომავლის ნათელ პერსპექტივებს უსახავს. მიმდინარე წელს ტრესტის მევენახეებმა გეგმით 33.200 ტონა ყურძენი უნდა მისცენ სამშობლოს. მაგრამ ისინი ამით როდი დაკმაყოფილდებიან. ჩვენი მევენახეების ვალდებულებაა ქვეყანას მისცენ 40.000 ტონა ყურძენი.

უფრო დიდი და საპატიოა ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი ციფრები. ხუთწლედის ბოლოს ტრესტის მევენახეებმა გეგმით 71.500 ტონა ყურძენი უნდა მისცენ სამშობლოს, ხოლო ვალდებულებით — 100.000 ტონა.

ეს გეგმა და ვალდებულება უთუოდ შესრულდება. წარმატება ძირითადად მიღწეულ იქნება თვითეულ ჰექტარ ვენახში ყურძნის მოსავლიანობის გადიდებით, რწყვის ფართოდ გამოყენებით. გარდა ამისა, გაშენდება ახალი ვენახებიც. წელს 600 ჰექტარი ვენახი გაშენდება, ხოლო ხუთწლედში — 2.056 ჰექტარი. ამასთან ხუთწლედში მოსავლიანობის გადიდების საქმეში წარმატებას მოვიპოვებთ ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარებითაც.

მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები რესპუბლიკაში სამრეწველო მეხილეობის წამყვან მეურნეობებად ითვლებიან და ტრესტის მიერ დამზადებული ხილის 92 პროცენტი მათ წილად მოდის. ბრეთის, ვარიანის, ქიწნისის, ქარალეთის, რუისის, ხურვალეთისა და კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.410 ტონისა სახელმწიფოს ჩააბარეს 9.309 ტონა ხილი. ამ მეურნეობებში წელსაც კარგად მოუარეს ბაღებს და კურკოვანი ხილის უხვ მოსავალს იღებენ. თესლოვანი ხილის ბაღებსაც კარგი პირი უჩანს. ამ წარმატებაში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვით მებაღეებს, სპეციალისტებს, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს. სადაც კარგად უვლიან, რწყავენ ბაღებს, იქ წარმატებაც გარანტირებულია.

შარშან ხილის დამზადების გეგმა შესრულდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტრესტის მებაღეობის მეურნეობებში ყველაფერი წესრიგშია. ხილის დამზადების გეგმა კი შესრულდა, მაგრამ გარკვეული ნაწილი უსტანდარტო იყო. წელს საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ხილის დამზადების გეგმა შესრულდეს მხოლოდ სტანდარტული, მაღალხარისხოვანი ხილით. აქვე უნდა გავახსენოთ, რომ უსტანდარტო ხილის ჩაბარება გეგმაში არ ჩაითვლება.

წელს თესლოვანი ხილის ბაღებს კარგად მოუარეს. ახლა მთავარია კრეფის დაწყებამდე მცენარეს არ მოვაკლოთ წყალი და ქიმიური ღონისძიებების გატარებით თავიდან ავიცილოთ მცენარისა და ნაყოფის დაავადებანი. მავნებლებს მკაცრი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. აგროწესების მტკიცედ დაცვით უნდა ვაწარმოოთ წამლობა, რწყვა და სხვ.

ხუთწლედის პირველ წელს ტრესტის მეურნეობები ნაცვლად 10.400 ტონისა სამშობლოს მისცემენ 15.000 ტონა ხარისხოვან ხილს. ხეხილის ბაღები გაშენდება 374 ჰექტარზე, ხოლო ხუთწლედში — 1.500 ჰექტარზე. ეს დიდი და საპატიო დავალებაა. ტრესტის მეურნეობათა მეხილეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სამშობლოს წინაშე ყოველთვის პირნათლად იყვნენ.

წარმატებათა უტყუარი გარანტია კი მაინც ვაზისა და ხეხილისადმი მევენახეთა და მებაღეთა გულმხურვალე სიყვარულია. ამ სიყვარულით ყოველგვარი სიძნელე დაძლეული იქნება. დედა-სამშობლოს კვლავაც გავახარებთ ბარაქითა და სიუხვით.

ვ. მირიანაშვილი,
მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი.

ცოცხალი სიტყვის ძალა

საუბარი მოწინავე პროპაგანდისტზე

მორიგი მეცადინეობისათვის რომ მოემზადა, პროპაგანდისტმა ალექსანდრე კუპრაშვილმა ერთხელ კიდევ გადაათვალიერა ჩანაწერები, მეხსიერებაში აღადგინა უმნიშვნელოვანესი ციფრები და ფაქტები.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დღეს მის მეორე პროფესიას უნდა მიხედოს, ოცდარვიდმეტი კაცის გულს ახალი გაზიარება უნდა მოუმზადოს და მოუგროვოს.

სადაც არის მეცადინეობაც დაიწყება. პროპაგანდისტი ფრთხილად ალაგებს კონსპექტებს, კაბინეტს ტოვებს... დღეს ქარხნის დირექტორთან იმყოფება. პარტბიუროს მდივანიც აქ არის, ქარხნის მთავარი ინჟინერიც. ყველა აღტაცებულია.

მოზღვავებულ სიხარულს ვერავინ მალავს.

ეს-ეს არის მოსკოვიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა — 1966 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ქუთაისის საკონსერვო ქარხანა პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში, და მის კოლექტივს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

რა კარგი, ბედნიერი დამთხვევაა!... ამ ახალმა ამბავმა მოუსწრო მეცადინეობას.

აბა პროპაგანდისტმა ამაზე უკეთესი და ახალი რა უნდა უთხრას თავის მსმენელებს.

აი აუდიტორიის წინაშეა შუახნის კაცი. მისი საქმიანი, მარცვლიანი სიტყვა ხან დაბალ ხმაზე, ხან კიდევ ომახიანად გაისმის. ეტყობა პროპაგანდისტმა კარგად იცის, თუ სად აუწიოს ან დაუწიოს ხმას, იცის, როგორ ჩასწვდეს თვითეულის გულსა და გონებას.

კარგი სიტყვა, ორატორობის ჟნარი საქმის ერთი მხარეა. ყველაზე მთავარი კი ცოდნაა. ცოდნა ეს იგივეა პროპაგანდისტისათვის, რაც იარაღი ჯარისკაცისათვის, — ხატოვნად ამბობს ალექსანდრე კუპრაშვილი.

ალექსანდრე კუპრაშვილს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შემსწავლელი თეორიული სემინარის ხელმძღვანელს, თეორიულ კარგ ცოდნასთან ერთად პოლიტიკური სიმწიფეც, ფართო ჰორიზონტიც და ცხოვრების დიდი გამოცდილებაც აქვს.

ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი აღუზრდია მას, როგორც პროპაგანდისტს, ლექტორსა და პოლიტიკურ მომხსენებელს.

ადამიანები, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაიზარდნენ, და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ეს ხომ გუშინ იყო. ახალგაზრდა ინჟინრები ავთანდილ ბაზაძე და ირა ბერიძე, ტექნოლოგი მაგული ნიკოლაიშვილი, რომლებიც ახლა პროპაგანდისტები არიან, ხოლო მესამე — საქარხნო გაზეთის რედაქტორი, წინა სასწავლო წელს თვითონ იყვნენ სემინარის მსმენელები.

ახლოს იცნობენ სემინარის მსმენელები თავიანთ პროპაგანდისტს, და, თავის მხრივ პროპაგანდისტიც ახლოს იცნობს თვითეულ მათგანს, იცნობს მათ ცხოვრებით, საქმეებით, მისწრაფებებით.

ალექსანდრე კუპრაშვილი ერთი იმათთაგანია, ვინც პარტიამ აღზარდა და გამოაწრთო.

ყოფილ მოჯამაგირეს თავის ზურგზე გამოუცდია კულაკების პარობაში, თავის თვალით უნახავს მათი გაძლიერებული დანები და მოქეიფული ბრბოები.

მაგრამ პარტიამ გაკაფა და გაუნათა ცხოვრების გზა ერთ ობოლ ბიჭს, რომელსაც ჯერ კიდევ ათი წლისას, უბედური შემთხვევის მსხვერპლი მამა ტყიბულის მაღაროში დაეღუპა. პარტიის დახმარებით ამთავრებს იგი ჯერ საშუალო სკოლას, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებელს. პარტიამ გაგზავნა იგი სხვადასხვა რაიონში ხელმძღვანელ პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა სამუშაოზე.

დიდი სამამულო ომის წინ ალ. კუპრაშვილი პარტიის წულუკიძის რაიკომის მდივნად მუშაობდა. აქედან გაგზავნეს მოსკოვში, სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულ ლენინურ კურსებზე. ფრონტზე წასვლამდე ათი წლის პროპაგანდისტული მუშაობის სტაჟი ჰქონდა, და იქაც, ფრონტზე, პროპაგანდისტი, პოლიტმუშაკი იყო.

ომგადახდილმა მთელი ათი წელიწადი იმუშავა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის კონსულტანტად.

ახლა კი, აგერ ოთხი წელიწადია საკონსერვო ქარხანაში მუშაობს. ერთი სიტყვით, ომამდეც, იმ ქარცეცხლიან დღეებშიც და ომისშემდგომაც, ამ კაცს თავისი მეორე პროფესია არ გამოუცვლია.

ალ. კუპრაშვილი ქარხნის პარტბიუროს იდეოლოგიური კომისიის თავმჯდომარეა. მისი ინიციატივით, ლენინგრადელთა მაგალითისამებრ, ქარხანასა და მთელ ქალაქში პირველად შემოიღეს პოლიტიკური სწავლების ახალი ფორმა — ლენინური გაკვეთილები.

ოცდათხუთმეტი წელია, რაც ალექსანდრე კუპრაშვილი პროპაგანდისტის საპატიო ვალს იხდის. ამ წლებმა კიდევ უფრო გააფართოვა მისი ჰორიზონტი, გაამდიდრა მისი გამოცდილება.

მაგრამ იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლი კვლავ სწავლობს, შეუპოვრად მიიწევს წინ პროპაგანდისტული ოსტატობის მწვერვალებისაკენ.

ბევრია ჩვენს ქვეყანაში ბუნებით ამორი, ბუნებით ტალანტი. ალექსანდრე კუპრაშვილი კი ბუნებით პროპაგანდისტია, და, მას, როგორც იტყვიან, სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი თავისი მაღალი მოვალეობის შეგნება.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტს" ატყობინებენ

„ჩემი სოფლის ტკივილები"

ჭიათურაში შემავალ სოფელ ცხრუკვეთის ავკარგს ეხებოდა წერილი, რომელიც „კომუნისტში" დაიბეჭდა. რედაქციამ ამ წერილის გამო მიიღო ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის უ. ხხირტლაძის შემდეგი პასუხი:

გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილ წერილზე „ჩემი სოფლის ტკივილები" გაცნობებთ, რომ სოფელ ცხრუკვეთში ბიბლიოთეკის გახსნა და საკოლმეურნეო სამშობიარო სახლის კაპიტალური რემონტი გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან. მიმდინარე წელს შესრულდება 8-წლიანი სკოლის შენობაზე მიშენების სამუშაოები, რის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 16.000 მანეთს. ცხრუკვეთში სამანქანო გზა გაყვანილია სოფელ სვერის გავლით, პერიოდულად წარმოებს აღნიშნული გზის რემონტი. იყო საკოლმეურნეო ტყეებში ტყის ჭრის წესების დარღვევის ფაქტები, რაც განხილულ იქნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე და მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

რაც შეეხება ახალი საავტომობილო გზის მშენებლობას სოფელ სკინდორიდან ცხრუკვეთამდე, მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დიდ თანხას შეადგენს. ეს სამუშაო 1967-68 წლებში შესრულდება.

რიტმულად დაიწყო ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. კომბინატის საერთო წარმატებაში თვალნათლივ იგრძნობა ახალგაზრდობის მამაცური შრომა. მოწინავე ხაზზე არიან კომკავშირელები. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გადაიღო, აღბეჭდილია კომბინატის მოწინავე მრთველი, კომკავშირელი მ. გაგოშიძე. მას მკლავმოუღლელი გოგონა შეარქვეს თანამოსაქმეებმა. იგი თვალისჩინივით უვლის სამ სართავ მანქანას და საწარმოო დავალებას სისტემატურად 10-11 პროცენტით აჭარბებს. მის პირად ანგარიშზე უკვე ირიცხება 100 კილოგრამი ზეგეგმითი ნართი.

სურათზე: მ. გაგოშიძე.

„მწვანე ოქროს" პლანტაციებში

ზაფხულის ჟუჟუნა წვიმებმა მწვანედ აახავერდა ისედაც ლაჟვარდოვანი ჩაის პლანტაციები.

„მწვანე ოქრო" უხვად შემოვიდა, და არც გალელი მეჩაიეები აყოვნებენ.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ყველგან ნორჩი დუყების ზღვა დგას. კრეფაში გართულ მეჩაიეებს არც კი უგრძნიათ ჩვენი მისვლა. გასაოცარი სისწრაფით კრეფენ ჩაის ფოთოლს.

— ვის გნებავთ? მობრძანდით! — გვიძღვება მეგზაპატივე № 41 ბრიგადის ბრიგადირმა პეპიკო ტურავამ და, რომ გაიგო — უბნის აგრონომი ბორის გუნბავს ნახვა გვინდოდა, ბრიგადირმა ხელი მისკენ გაიშვირა. ბორისმა ლორთქო დუყებით სავსე კალათა ბუჩქებში ჩამალა და ჩვენკენ წამოვიდა.

შორიდან მოგვესალმა. მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი გავაბით. ხან ცისკენ გააპარებს მზერას და ღიმილით ამბობს:

— ნეტავ არ იწვიმოს. თუმცა უამინდობა ვერ აშინებს მეჩაიეებს, მაგრამ ერთი რამ აღარდებთ, ბარაქა არ ეჩრება მათ ნამუშევარს.

— რამდენს მოკრეფთ დღეში? — ვეკითხებით ბორისს. ჯერ ბუჩქებს გადახედა, მერე გვითხრა:

— ფოთლის შერჩევით კრეფის დროს დღეში 10 ტონას ვკრეფდით. ახლა კი დღეში 20-25 ტონას ვკრეფთ, — ეს იქნება ჩემი მაჩვენებელი. როცა მეხუთე აგრორაიონის ჩაის პლანტაციებს ვათვალიერებდით, უბნის აგრონომმა გვითხრა:

— წელს ჩვენი უბნის მეჩაიეები იმისათვის იბრძვიან, რომ მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 750 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე ასობით ტონა მოვკრიფეთ.

გოგონები კი ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიან, კალათს თვალის დახამხამებაში ავსებენ. გაოცებთ მათი თითების მოძრაობა, თვალის სიმახვილე. ამ მოზღვავებულ მწვანე ფოთოლში ნორჩი დუყების შერჩევა იოლი საქმე როდია!

მოწინავე მეჩაიემ მარიამ ლომბემ კი იმ დღით ოთხ საათში 40 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო" მოკრიფა.

— ეს არც გასაკვირველია — ამბობს ბრიგადირი. — გუშინ ვლადიმერ ჩერნიშოვმა 70 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. ამჟერიდან 80 კილოგრამზე ნაკლები აღარ იქნება მისი მაჩვენებელი.

ბრიგადაში ყველა მოწინავეა, ერთმანეთზე უკეთესი! ავიღოთ თუნდაც სონია ბრეხნი, მარიამ დოლგაშიძე, ალექსანდრა მარიენკო. ბრიგადა კი კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელისათვის იბრძვის.

მეორე აგრორაიონში ჩაის საკრეფი მანქანები გასულან. ერთი შეხედვით გვეჩვენება, ეს მანქანა ნელა მიდისო, მაგრამ მხოლოდ ასე გვეჩვენება. ჰკვიანი მანქანის უამრავი თითები სწრაფად აცლიან ნაზ დუყებს და ბუნკერისაკენ გზავნიან.

იმ დღეს ოცი მანქანა მუშაობდა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

— როგორ მიდის საქმე, ჯემალ? — ეკითხება პარტბიუროს მდივანი დ. შონია.

— ჯერ მხოლოდ 1.000 კილოგრამი მოვკრიფე, — უპასუხებს ჭაბუკი.

ახალგაზრდა მძღოლები ავტომანქანებით საკრეფი პუნქტებიდან და ფაბრიკებისაკენ შეუფერხებლად ეზიდებიან „საქართველოს [illegible]" დაბავებულ „მწვანე ოქროს"...

მზე გადაიხარა.

მოასფალტებულ გზაზე მიგვაქროლებს მანქანა სოფელ საბერიოსაკენ.

რამდენიმე წუთი, და საბერიოში ვართ. ფერდობებზე შეფენილი ოდები ზემოდან გადმოგვცქერიან.

პლანტაციაში შევხვდით ვალიკო ძიგუას. იგი წელს აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მაგრამ საქმის [illegible] უკვე მოასწრო. ეტყობა — კაბინეტის კაცი არ არის. მისი ნახვა იქ შეიძლება, სადაც უხვ მოსავალს უყრიან საფუძველს.

უხვად წამოსულ ფოთოლს შეუშინებია [illegible] ბ. კაკავა და მ. გარგულია. სადამშვიდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, და სამოც-სამოცი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს მიმღებ პუნქტს.

ჩაის ახალბედა მკრეფავია თათუშა ლოლუა.

— **როგორ** მუშაობთ, **თათუშა?** — შევეკითხეთ მეთოზე ბრიგადის ბრიგადირი [illegible].

გოგონამ ღიმილით უთხრა:

— 25 კილოგრამი ნახევარი.

ბრიგადირმა მოუწონა ნამუშევარი. შემდეგ მეზობელ პლანტაციაში გადავედით. აქ შევხვდით ახალგაზრდა მეჩაიეებს: ციალა მარხულიას, რაისა ცაავას და სულიკო მარხულიას. თვითეული ყოველდღიურად 100-110 კილოგრამ ფოთოლს კრეფს.

კმაყოფილებით ეტყობებთ ჩაის პლანტაციებს ვალიკო გზადაგზა გვესაუბრება. კოლმეურნეობაში ყოველდღიურად 8-9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი იკრიფება, სულ 500 ტონას მოვკრეფთ, გეგმა კი 496 ტონაა.

საბერიოდან შორს არ არის სოფელ [illegible] სახელობის კოლმეურნეობა. აქ ჩაის პლანტაციები ფერდობებზეა გაშენებული.

პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეჩაიეები ენერგიას არ იშურებენ, რათა ახალი წარმატებანი აჩვენონ სამშობლოს.

— შარშან ღირსეულებმა 450 ტონა „მწვანე ოქრო" მისცეს სამშობლოს. ბევრია, ამბობენ. დიახ, ბევრია, მაგრამ წელს 500 ტონა უნდა მოვკრიფოთ, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა გამსახურდიამ.

მივდივართ სალხინოში. ასე ეწოდება ამ უბანს. აქ ყველა კარგი მკრეფავია თავმოყრილი, მეტწილად ახალგაზრდები, მისასვლელთან პლანტაციაში ძაუ გამსახურდიას შევხვდით. ძაუ 70 წელს გადაცილებულია, ჯერაც არ ტოვებს ჩაის ბუჩქებს. შარშან ორ ტონაზე მეტი მოკრიფა, წელს 2,5 ტონის მოკრეფა იკისრა, ყოველდღიურად 40-50 კილოგრამს კრეფს. ქსენია კოკაიას, რომელიც ყოველდღიურად 8-9 ტონას კრეფს, სათქმელი ბევრი აქვს. ყოველდღიურად ის კილოგრამს კრეფს.

ბრიგადაში, რომელსაც კომუნისტი ნ. შელია ხელმძღვანელობს, დიდი ენთუზიაზმია. ბრიგადა ყოველდღიურად ერთ ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს აბარებს მიმღებ პუნქტს...

ჩაის მწონავიც მოვიდა. ურმით მოიტანეს ყუთები. სოფელი მთაგორიანია და მოუხერხებელია ავტომანქანისათვის, ამიტომ აქ მამაპაპური ტრანსპორტიც არის გამოყენებული.

მზე თირქმისფერ ზღვაში იძირება და ბინდი მოდუნებული კამეჩივით წვება ფერდობებზე. მწონავმა [illegible] რვეულის ნაჭერი და მეჩაიეებს სამუშაო დღის დამთავრება აუწყა. ერთბაშად მოაწყდნენ სავსე კალათებით ფარდულს.

ყველა თავის ბლოკნოტში იწერს ციფრებს, მერე ცარიელ კალათებს აკიდებენ, ნელ-ნელა იშლებიან, შინისაკენ მიიჩქარიან.

ცა გაფითრებულა, ვარსკვლავები ციმციმებენ, გორაკებზე მიმოფანტულ სახლებში აქა-იქ ნათურები ინთება...

სოფელში სიჩუმე ისადგურებს. სიზმარში ნახავენ [illegible] მეჩაიეები. დილით მზეს მაინც ასწრებენ. იმ დღეს დიდი საზრუნავი აქვთ.

დ. ჩაკაბერია,
გალის რაიონი.

კომუნისტი

საერთაშორისო ცხოვრება

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

უნგრეთი. ამერიკის ბომბდამშენების ახალმა ტერორისტულმა საჰაერო თავდასხმებმა ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნებზე უდიდესი აღშფოთება გამოიწვია უნგრეთში. სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ბუდაპეშტის მისიის საქმეთა რწმუნებულს. უნგრელი ხალხი შეშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდა ცნობას, რომ დაბომბეს ჰანოისა და ჰაიფონის რაიონები. საჰაერო თავდასხმების გაფართოებას შეიძლება მოჰყვეს ომის უშუალო საფრთხე აზიასა და მთელ მსოფლიოში, ხაზგასმულია დეპეშაში. უნგრელი ხალხი იზიარებს მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებას და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

რუმინეთი. ამერიკის ავიაციის მიერ ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების ბარბაროსულმა დაბომბვამ რუმინელთა გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. მთელ რუმინეთში ეწყობა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ. რუმინელი მშრომელები გმობენ ამერიკის მხედრიონის დანაშაულებრივ მოქმედებას ვიეტნამში, მოითხოვენ აგრესიული მოქმედების შეწყვეტას, პატივისცემას ვიეტნამელი ხალხის უფლებისა თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი.

გდრ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის ავიაციამ ბარბაროსულად დაბომბა ჰანოისა და ჰაიფონის რაიონები. მშვიდობის საბჭო მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს დანაშაულებრივი მოქმედება მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

მთელ რესპუბლიკაში ეწყობა საპროტესტო კრებები და მიტინგები, რომლებზეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები გმობენ ამერიკულ აგრესიას.

პოლონეთი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო რაიონების დაბომბვა ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული სამხედრო მოქმედების ახალი ეტაპია, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც მიიღო სრულიად პოლონეთის მშვიდობის კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ. მშვიდობის კომიტეტი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, ამერიკის ჯარები გაიყვანონ ვიეტნამიდან, უფლება მისცენ ვიეტნამელ ხალხს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი, დაიცვან ჟენევის ხელშეკრულებანი.

იუგოსლავია. „იუგოსლავიის მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის ლიგა, ისევე როგორც იუგოსლავიის ხალხები, გულისწყრომით გმობს აგრესიულ ომს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ", — ნათქვამია ამ ლიგის წერილში ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ავიაციამ დაბომბა ჰანოისა და ჰაიფონის რაიონები.

კორეა. კორეელი ხალხი გულისწყრომით აცხადებს პროტესტს ამერიკელ აგრესორთა ყაჩაღური მოქმედების გამო, რომლებიც მეკობრულად დაესხნენ თავს ჰანოისა და ჰაიფონის მიდამოებს, და მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, წერს კორეის გაზეთი „მინჯუ ჩოსონი".

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ავიაციამ დაბომბა ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნები. ამერიკელი იმპერიალისტები ვერ შეაშინებენ და ვერ დაიჩოქებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს, ნათქვამია განცხადებაში. კორეელი ხალხი ყოველნაირ დახმარებას გაუწევს გმირ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მეტად გააკვირვა და შეაშფოთა ცნობამ, რომ ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნებს, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ალ აჰრამი", ეს შეტევები როგორც თვით შეერთებული შტატების, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა გრძნობების აბუჩად აგდება და სრული უგულებელყოფაა. ეს მოქმედება, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ავანტიურისტული, უპასუხისმგებლო ხასიათისაა და მსოფლიოს აყენებენ დამანგრეველი ატომური ომის ზღვარზე. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ავიაციის თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უაღრესად საშიში აქტია.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივმა სამდივნომ მოუწოდა აფრიკისა და აზიის ყველა ხალხს და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს გადაჭრით დაგმონ ეს მხეცური მოქმედება და მოითხოვონ, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ და პირობების წაუყენებლად შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები და სხვა სამხედრო ოპერაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეწყვიტონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში, პატივი სცენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს, მთელი თავისი ჯარები და თავიანთი სატელიტების ჯარები გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან და ამით საშუალება მისცენ სამხრეთ ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო საქმეები. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, ნათქვამია მოწოდებაში, რომ საბოლოო გამარჯვებას ვიეტნამელი ხალხი მოიპოვებს.

ანალოგიური პროტესტი განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ. (საქდესი).

ამ ამერიკელთა ბარბაროსობის მსხვერპლნი — დაჭრილი ბავშვები ჰოსპიტალში.

ანტიპროფკავშირული კანონმდებლობა

ლონდონი, 4 ივლისი. საქდესის კორესპონდენტი ო. პიეოვაროვი იუწყება: ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ, ლახვარი ჩასცა პროფკავშირულ მოძრაობას. დღეს მან გამოაქვეყნა კანონპროექტი, რომელიც ეხება მთავრობის პოლიტიკას ფასებისა და შემოსავლის საკითხებზე.

ინგლისის მთავრობამ ამ პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ხელფასის გაყინვა და დღევანდელი კანონპროექტით ცდილობს პროფკავშირები ისეთი მკაცრი ჩარჩოების მარწუხებში მოაქციოს, რომლებიც მოუსპობდა ხელფასის მომატებისათვის ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას.

კანონპროექტი პროფკავშირებს ავალდებულებს წერილობით შეატყობინონ თავიანთი მოთხოვნები ხელფასის მომატების საკითხთა სპეციალურ საბჭოს და დაემორჩილონ საბჭოს გადაწყვეტილებებს. წინასწარვე ცნობილია, რომ ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ საბჭო უკეთეს შემთხვევაში შეიძლება დათანხმდეს იმას, რომ ხელფასი გადიდდეს მხოლოდ 3,5 პროცენტით — ეს არის ზღვრული ნორმა, რომელიც მთავრობამ დააწესა. და ეს მაშინ, როცა განუწყვეტლივ მატულობს ფასები და მეწარმეთა შემოსავალი.

პროფკავშირულ მოღვაწეებს, რომლებიც ამ პირობებს არღვევენ, მოელის სასამართლო დევნა. შექმნა რა ეს მკაცრი კანონი, ლეიბორისტულმა (რაც „მუშურს" ნიშნავს) მთავრობამ ვერ გადაწყვიტა მხოლოდ ერთი საკითხი — დაპატიმრებულ იქნენ თუ არა ფულადი ჯარიმებით ური მუშათა—აქტივისტთა მიმართ თუ ჩასვას ისინი საპყრობილეში.

ვილსონის მთავრობამ უკვე კარგა მაგრა გაიტეხა სახელი ხალხის თვალში იმით, რომ სამარცხვინოდ უჭერს მხარს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში, რაც მრისხანე საპროტესტო დემონსტრაციებს იწვევს. დაუმატა რა ამას ანტიპროფკავშირული კანონპროექტი, მთავრობა მიმომხილველთა აზრით, დაუპირისპირდა ფართო მასების ინტერესებს.

„ნატომ გუდანაბადი აიკრა"

პარიზი, 5 ივლისი. საქდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს: ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გიგანტურ სატრანსპორტო თვითმფრინავში ტრანსპორტით მიიზიდება სამხედრო ავტომანქანების... უზარმაზარი მანქანა მძიმედ აფრინდა. ტელეკამერის ობიექტივში კი ჩანს ხანს უჩვენებს თვითმფრინავს საფრანგეთის ტელევიზიის კომენტატორი განმარტავს: „კურსი ინგლისისკენ არის აღებული, ახლა ამერიკის საავიაციო ბაზა იქ იქნება. მთელი რიგი წლების მანძილზე აქ, ევროში, იყო სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც მოქტიულად არ ექვემდებარებოდა საფრანგეთის მთავრობის კონტროლს. ახლა ამის ბოლო ელება..."

დიახ, საფრანგეთში ამერიკელთა ყოფნის შემდეგ ამერიკელებმა დაიწყეს თავიანთი სამხედრო ბაზების ევაკუაცია.

ეს არის ერთ-ერთი შედეგი საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებისა გამოვიდეს ჩრდილოატლანტიკური გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან. საფრანგეთის მიერ გამოცხადებული გრაფიკის შესაბამისად, უცხოური სამხედრო ბაზები საფრანგეთის ტერიტორიიდან უნდა გადაიტანონ მომავალი წლის აპრილისათვის.

ინციდენტი ამერიკის საელჩოში

ლონდონი, 5 ივლისი, (საქდესი). პრეს ასოშიეიშენის სააგენტო იუწყება: გუშინ „100-თა კომიტეტის" ორი წევრი შევიდა დარბაზობაზე, რომელიც ამერიკის ლონდონის საელჩოში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დღესთან" დაკავშირებით. კომიტეტის წევრები კრისტოფერ კაული და კეტლინ ფარი ავიდნენ ტერასის ზედა საფეხურებზე და სთხოვეს ყველა დამსწრეს ყური დაეგდოთ მათთვის. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, კრისტოფერ კაულიმ წარმოთქვა ვიეტნამელი ხალხის დამოუკიდებლობის სადღეგრძელო და მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები გაიყვანონ ვიეტნამიდან. კაული და ფარი გააძევეს დარბაზობიდან.

მეგობრობის ფესტივალზე

იოკოჰამა, 4 ივლისი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ინგა დობროტინა იტყობინება: დღეს იაპონიის ახალგაზრდობა საზეიმო ვითარებაში შეხვდა საბჭოთა დელეგაციას, რომელსაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პავლოვი მეთაურობს. დელეგაცია იაპონიაში ჩავიდა ორი ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალზე. იოკოჰამის ნავსადგური, რომელშიც თბომავალი „ხაბაროვსკი" შევიდა, მორთული იყო სსრ კავშირისა და იაპონიის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, რუსულ და იაპონურ ენებზე. იქვე ნავსადგურში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ იოკოჰამის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები. შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და იაპონიის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია იაპონიაში დაახლოებით ოც დღეს დაჰყოფს. ფესტივალის პროგრამაშია დისკუსიები ორივე ქვეყნის ახალგაზრდობისათვის საინტერესო პრობლემებზე, შეხვედრები პროფესიების მიხედვით, სპორტსმენთა შეჯიბრებანი, მომღერალთა და მოცეკვავეთა კონკურსები.

ბარბაროსული დაბომბვა გრძელდება

ჰანოი, 5 ივლისი. (საქდესი). ამერიკის ავიაციამ 3 და 4 ივლისს ბარბაროსულად დაბომბა და ცეცხლი დაუშინა ვინლინის რაიონისა და კუანგბინის, თხანჰოას, ნამჰის, თჰაიბინისა და ფუთხოს დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ობიექტებს. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ბომბები დაყარეს პროვინციების ცენტრებს — ქალაქებს დონგჰოის, ფუთხოსა და თჰაიბინის, ჰაიფონის მიდამოებს, ჰებირს მდინარე ჩალიზე (თჰაიბინის პროვინცია).

ამერიკის მხედრიონის ამ ახალი აგრესიული აქტების გამო ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის გამგეობის მისიამ მტკიცე საპროტესტო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის საერთაშორისო და საკონტროლო კომისიას.

ჰანოი, 5 ივლისი. (საქდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა გუშინ ერთი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს თხანჰოის პროვინციაში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

დაზუსტებული მონაცემების თანახმად, ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის ნაწილებმა და მოლაშქრეებმა 30 ივნისსა და 1 ივლისს 3 ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს კუანგბინის პროვინციაში.

ამრიგად, ჩრდილოეთ ვიეტნამში ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების საერთო რიცხვმა 1.157-ს მიაღწია.

ბრაზავილის კონგოს არმია კვლავ ხალხის ერთგულია

ბრაზავილი, 4 ივლისი. (საქდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა და ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალურმა მდივანმა მასამბა-დებამ დღეს მიიღო კონგოს ეროვნული სახალხო არმიისა და ჟანდარმერიის ოფიცერთა დელეგაცია.

კონგოს ეროვნული არმიის დროებითმა სარდალმა კაპიტანმა ებადეპმა წაიკითხა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ კონგოს არმიის ოფიცრები პირობას დებენ დაიცვან რევოლუცია, ემსახურონ ხალხს და ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიას და ერთგული არიან ეროვნული ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს მეთაურისა. ეროვნული არმია, რომელიც კონგოელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ავანგარდში იყო, კვლავაც პირნათლად შეასრულებს თავის მისიას.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა მასამბა-დებამ განაცხადა, რომ „ეროვნული არმიის პრობლემა ის პრობლემაა, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის უშიშროება და მისი ხალხის პროგრესი. პარტიამ, მთავრობამ და პირადად მე ეს პრობლემა უნდა განვიხილოთ ყოველმხრივ, სარდლობისა და ქვეგანაყოფთა დონეზე. არმია უნდა შეესაბამებოდეს რევოლუციის მიზნებს, რომლის ერთგული რჩება კონგოელი ხალხი".

მასამბა-დებამ დაადასტურა კაპიტან ებადეპის დანიშვნა კონგოს ეროვნული სახალხო არმიის სარდლად, აღნიშნა რა, რომ მან გამოიჩინა გამბედაობა წესრიგის დაცვის საქმეში იმ ამბების დროს, რაც ბრაზავილში მოხდა.

მასამბა-დებამ გამოთქვა რწმენა, რომ კაპიტან ებადეპის დანიშვნა ხელს შეუწყობს იმას, რომ კონგოს არმია თავს დააღწევს მდგომარეობას, რასაც მას უქმნიდნენ უპასუხისმგებლო ელემენტები.

მოკლედ

დელი, 5 ივლისი. (საქდესი). გაზეთ „პეტრიოტის" ცნობით, ინდოეთის მადრასის შტატის მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ გაათავისუფლონ რამდენიმე დღის წინათ დაპატიმრებული 325 კომუნისტი.

◆

პრეზიდენტის დეკრეტი

რიო-დე-ჟანეირო, 5 ივლისი. (საქდესი). ადგილობრივი რადიოს ცნობით, ბრაზილიის პრეზიდენტმა კასტელო ბრანკომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის შესაბამისად შტატების საკანონმდებლო კრებების 25 დეპუტატს ჩამოერთვათ მანდატები. დეკრეტის შესაბამისად 15 დეპუტატს 10 წლით ჩამოერთვათ პოლიტიკური უფლებები.

◆

აღდგენილია დიპლომატიური ურთიერთობა

ოტავა, 5 ივლისი. (საქდესი). კანადამ დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა აღადგინა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ეს განაცხადა პარლამენტში კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. მარტინმა. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის შეწყდა 1945 წელს.

იკვლევენ რადიაციის საკითხებს

რომი, 4 ივლისი. (საქდესი). გუშინ იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში მუშაობა დაამთავრა მესამე საერთაშორისო ყრილობამ რადიაციის საკითხებზე. ყრილობაში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1.300 მეცნიერი.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს ცოცხალ ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედების პრობლემები.

ყრილობაზე განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს საბჭოთა აკადემიკოსის ა. ი. ოპარინის მოხსენება.

◆

ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილება

დელი, 4 ივლისი. (საქდესი). ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა ცალმხრივი წესით გაათავისუფლოს პაკისტანის ყველა ტვირთი (გარდა სამხედრო ტვირთისა), რომლებიც ინდოეთმა დააკავა შარშან სექტემბერში, როცა ამ ორ ქვეყანას შორის წარმოებდა შეიარაღებული კონფლიქტი. ამას იუწყება პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო.

◆

აგრარული რეფორმა გრძელდება

დამასკო, 4 ივლისი (საქდესი). სირიაში მიწის რეფორმების ფარგლებში დაიწყო მემამულეებისაგან ექსპროპრიირებული მიწების მორიგი, სათვალავით მეშვიდე განაწილება. ამჯერად 300-ზე მეტი გლეხის ოჯახი საკუთრებად მიიღებს 2800 ჰექტარ მიწას.

ალჟირი დღეს

მოწინავე კაცობრიობა გულდასმით ადევნებს თვალყურს ალჟირში მოვლენების განვითარებას. აფრიკის კონტინენტის თითქმის არცერთ ქვეყანას არ დაუღვრია იმდენი სისხლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რამდენიც ამ არაბულმა ქვეყანამ.

მაგრამ ამაოდ არ ჩაუვლია რვა წლის ომს კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მოპოვებულია თავისუფლება. 1962 წლიდან ახალი ცხოვრება ეროვნული თავისთავადობის ყვავილებს ისხამს. ქალაქად და სოფლად აღმოცენდა თვითმმართველობის კომიტეტები. მშრომელი მასების ფართო ინიციატივა მიმართულია იქითკენ, რომ წარმოების საშუალებანი, ეკონომიური ბერკეტები ხალხის ხელში იყოს.

თვითმმართველობამ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა სოფლის მეურნეობაში. ახლა ამ სექტორს ეკუთვნის 3 მილიონამდე ჰექტარი საუკეთესო სახნავი მიწა. ამ მიწებზე შექმნილია ორი ათასზე მეტი თვითმმართველობის კომიტეტი, რომელიც ყოველდღიურ სამუშაოს აძლევს 150 ათას კაცს. დღეს მთელი ეს მიწები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალი კულტურითა და შრომის ნაყოფიერებით, უხვი მოსავლიანობით მაგალითია ალჟირელი გლეხებისათვის.

ამიტომაც ფეოდალები და ბურჟუაზია სასტიკი წინააღმდეგი არიან თვითმმართველობისა, აგრარული საკითხის ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტისა. რეაქციული ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდილობენ ხელი შეუშალონ რევოლუციის განვითარებას. მაგრამ ამაოდ. თვითმმართველობის კომიტეტებს მხარს უჭერს ალჟირის მთავრობა, ეროვნული ფრონტი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიმართა თვითმმართველობის კვირეული. მისი მიზანი იყო თვითმმართველობის სექტორის პოპულარიზაცია ფართო მასებში. ქალაქად და სოფლად გამართულ მიტინგებზე ამხილებდნენ რეაქციონერთა ხრიკებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ მათ.

მშრომელი მასების მხურვალე მხარდაჭერას პოულობს მთავრობის დემოკრატიული ღონისძიებები მრეწველობაში. მიმდინარე წლის 9 მაისს რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბუმედიენმა გამოაცხადა რკინის, ტყვიის და თუთიის 11 მსხვილი კომპანიის ნაციონალიზაცია. ეს კომპანიები უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდა.

ალჟირის მთავრობა ახლა ამუშავებს ღონისძიებებს ეროვნული ბანკის შესაქმნელად. მზადდება აგრარული და კომუნალური რეფორმის განხორციელების პროექტი. ამ უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ავანგარდული როლის ამაღლებას, მისი ძირეული ორგანიზაციების განმტკიცებას. იზრდება ალჟირის მშრომელი ხალხის აქტივობა ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ალჟირი დიადი და ახალი ცხოვრების გზაზეა. იგი რწმენით შეჰყურებს თავის მომავალს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი, გულისხმიერი აღმზრდელი

ი. ჯაშის დაბადების 65 წლისთავისათვის

შესრულდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ივანე ლეონტის-ძე ჯაშის დაბადების 65 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

პროფესორ ი. ჯაშის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის — სოფლის მეურნეობის მეცნიერების კერისა და კადრების აღზრდის ამ სახელოვანი სამჭედლოს არსებობასთან, მისი ჩამოყალიბებიდან დღევანდლამდე.

1930-1935 წლების განმავლობაში პროფესორი ი. ჯაში ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სასწავლო ნაწილში. 1941 წლიდან დღევანდლამდე იგი ამავე ინსტიტუტის პრორექტორია სამეცნიერო-კვლევით ნაწილში.

იგი დაიბადა და იზრდებოდა თავისი დროისათვის ცნობილი პედაგოგის ლეონტი იგნატეს-ძე ჯაშის ოჯახში. იუბილარის მამა ლეონტი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ორკლასიან სკოლას სოფელ ჭოკნარში, ხოლო დედა მატრონა ალექსის ასული გოგოძე, ქართული კულტურით დაინტერესებული ხუთი ვაჟის სანიმუშო აღმზრდელი იყო. ამ ოჯახში შვილები მოწინავე იდეების სულისკვეთებით იზრდებოდნენ. ი. ჯაში 1919 წელს წარმატებით ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას, ხოლო 1924 წელს თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს. იგი სტუდენტობის პერიოდშივე იწყებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობისადმი მიდრეკილებას და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში, იყო სტუდენტების ბეჭდვითი ორგანოს „აგრონომიული კრებულის" რედაქტორი.

1926 წელს იგი დატოვებულ იქნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. ერთდროულად ამავე კათედრის ასისტენტის მოვალეობას ასრულებდა.

1930 წლიდან ი. ჯაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის დოცენტია და კითხულობს დამოუკიდებელ კურსს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, ხოლო 1933 წლიდან დღევანდლამდე მიჰყავს სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის კურსი. ი. ჯაშმა დაიცვა: 1940 წელს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1945 წელს სადოქტორო დისერტაციები. მასვე მიენიჭა პროფესორის წოდება. იგი 1941 წლიდან მოკიდებული დღევანდლამდე ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრას.

პროფესორი ი. ჯაში 78 სამეცნიერო შრომის ავტორია სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე. მის მიერ უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო „სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია" ორჯერ გამოიცა.

აღსანიშნავია პროფ. ი. ჯაშის ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა; მისი ხელმძღვანელობით 40-ზე მეტმა მეცნიერ მუშაკმა მოამზადა და დაიცვა დისერტაციები მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1964 წელს პროფ. ი. ჯაში შედიოდა ჩვენი ქვეყნის დელეგაციაში სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა მეთორმეტე საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთში (ლიონი), სადაც პლენარულ სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები მთიანი რაიონების პირობებში". მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია და დაიბეჭდა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე ოქსფორდში (ინგლისში).

პროფ. ი. ჯაში დამსახურებულად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის აგრონომიის მუშაკთა შორის. იგი მუდმივი მონაწილეა თითქმის ყველა მეთოდიკური ხასიათის თათბირისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ეწყობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გაშლისა და ამ სამეცნიერო დისციპლინათა სწავლების გაუმჯობესების საქმეში. პროფ. ი. ჯაში არის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პერსპექტიული დაგეგმვისა და სპეციალიზაციის სექციის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მეთოდური საბჭოს წევრი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, საქართველოს მრავალი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. პროფ. ი. ჯაში 1962 წლიდან სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა საერთაშორისო კონგრესის წევრია.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ამაგი სათანადოდ დააფასა მთავრობამ — იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის ორი, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

პროფესორი ა. ულენტი.

წიგნი—ძმობა-სიყვარულის ხიდი

შთაბეჭდილებები ვარშავის წიგნის საერთაშორისო XI ბაზრობა-გამოფენაზე

ვარშავის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენამ, მაინის ფრანკფურტის მსოფლიო ბაზრობა-გამოფენის შემდეგ, თავისი მასშტაბით მტკიცედ დაიჭირა მეორე ადგილი. წიგნის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენა პოლონეთში ყოველ წელს ეწყობა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში უკვე ტრადიციად იქცა. ამ ბაზრობა-გამოფენამ ვარშავა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების თავისებურ კულტურულ და სავაჭრო ცენტრად აქცია.

წელს გამართულ საერთაშორისო XI ბაზრობა-გამოფენას ვარშავაში განსაკუთრებული საზეიმო ელფერი ჰქონდა იმის გამო, რომ პოლონელები 1966 წელს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ათასი წლისთავის შესახვედრად ემზადებიან. ამ დიდ სახელმწიფოებრივ და სახალხო დღესასწაულს არ შეიძლება თავისი ასახვა არ ეპოვა პოლონეთის საგამოფენო ექსპოზიციაში. ჩვენმა მასპინძლებმა გამოფენაზე უხვად წარმოადგინეს საგამომცემლო პროდუქცია, რომელიც უშუალოდ მიძღვნილი იყო პოლონეთის სახელმწიფოს არსებობის ათასი წლისთავისადმი.

ქართველ მკითხველს რომ სრული წარმოდგენა შევუქმნათ ვარშავაში მოწყობილ საერთაშორისო წიგნის ბაზრობა-გამოფენაზე, ვიტყვით, რომ ამ თავისებურ კულტურულ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა ორივე ნახევარსფეროს მრავალი ქვეყანა, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამომცემლობებიც. სულ გამოფენილი იყო სამოცი ათასი საუკეთესო წიგნი. გამოფენას ეჭირა ვარშავის კულტურის სასახლის სამი სართული და გამოფენის დამთვალიერებელს უნდა გაევლო დაახლოებით ხუთი კილომეტრი მანძილი.

ვარშავის მიმდინარე წლის ბაზრობა-გამოფენაში პირველად მიიღეს მონაწილეობა ესპანელებმა. გამოფენაში მონაწილეობდა მადრიდის გამომცემლობა „ინსტიტუტო ნაციონალ დელ ლიბრო ესპანიოლა". 1961 წლის მეორე ბაზრობა-გამოფენაში პირველად მიიღეს მონაწილეობა ჩინელებმა.

პოლონეთის შემდეგ ყველაზე მეტი წიგნი გამოფენაზე წარმოადგინა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელმაც 34 საგამომცემლო ფირმის პროდუქცია გამოჰფინა. ბაზრობა-გამოფენაზე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამაც უხვად წარმოადგინა თავისი 13 საგამომცემლო ფირმის პროდუქცია.

14 მაისს, შაბათს, ვარშავის დროით 6 საათზე, ოფიციალურად გაიხსნა ბაზრობა-გამოფენის დღესასწაული. გამოფენის გახსნამდე მოკლე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების მინისტრმა ლუციან მოტიკამ. (პოლონეთში წიგნის გამოცემისა და ვაჭრობის საქმეს ხელმძღვანელობს პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების სამინისტრო).

გამოფენის გახსნას ესწრებოდა ჩვენი დელეგაციაც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მიხაილოვის მეთაურობით.

15 მაისს, კვირას, წიგნის საერთაშორისო XI ბაზრობა-გამოფენის გახსნის მეორე დღეს, დამთვალიერებელთა რიცხვმა ათი ათასს გადააჭარბა. სტენდებთან მოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები და დაიდო პირველი სავაჭრო გარიგებანი.

პოლონეთში პირველი ნაბეჭდი წიგნი პოლონურ ენაზე გუტენბერგის ეპოქალური გამოგონებიდან ოცდამეათე წელს გამოჩნდა. მასპინძლებს არ დავიწყებიათ გამოფენის დამთვალიერებლებისათვის გაეცნოთ პირველი პოლონური წიგნის მბეჭდავთა სახელები. პოლონეთში სიამაყით იგონებენ იან გელერს, ფლორიან უნგლერს, გიერონიმ ვეტორს და მაცეი შარფენბერგს. მათი სახელები პოლონეთის კულტურის უკვდავ მოღვაწეთა შორის ასახელებენ. მასპინძლებმა მნახველების სახელობის დარბაზში საგანგებოდ გამოჰფინეს ძველთაძველი ნაბეჭდი პოლონური წიგნები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოლონეთში XV, XVI, XVII საუკუნეებში დაბეჭდილი წიგნების ბეჭდვითი ხარისხი და კულტურული დონე საკმაოდ მაღალია. აქვე ექსპონირებული იყო კრაკოველი, ვროცლაველი, მალბორკელი და გდანსკელი მბეჭდავების მიერ ხატიერ გამოცემებით დასტამბული ძველი წიგნები.

მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოცემულმა გოეთეს თექსმეტტომეულმა და გერმანელ კლასიკოსთა ნაწარმოებების სერიულმა გამოცემებმა. გერმანული თანამედროვე ლიტერატურიდან მეტად საინტერესო იყო ი. ბეხერის თხზულებათა კრებულის შესანიშნავი გამოცემა. გამოფენაზე აღიარება ჰპოვა აგრეთვე გამომცემლობა „ბერტელსმანის" მიერ დასტამბულმა სერიამ, რომელიც ეძღვნება მსოფლიო კინემატოგრაფიის მოღვაწეებს.

მნახველებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ის სტენდები, სადაც შეეძლოთ დამთვალიერებინათ, თანაც დაეკვეთათ ხანგამძლე მუსიკალური ფირფიტები. საბჭოთა მუსიკალურ სტენდთან ხომ ტევა არ იყო. აქ შეხვდებოდით მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუსიკალურ ჩანაწერებს და შეგეძლოთ თქვენი გემოვნების მიხედვით შეგერჩიათ ფირფიტები მსოფლიო, რუსული და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მუსიკალური ნაწარმოებებისა.

ასევე უხვად და მრავალფეროვნად წარმოადგინა ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „არტიამ" მსოფლიო კლასიკური მუსიკის ციკლი: „მუზიკა ანტიკვა ბოემიკა". ბახი, მოცარტი და ბეთჰოვენი — აი, რა მუსიკალურ ჩანაწერებს სთავაზობდნენ დამთვალიერებლებს გამომცემლობა „ვებ დოიჩე შალპლატენის" ექსპონატები.

17 მაისს ვარშავის ბაზრობა-გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელიც პოლონეთში იულიან მარხლევსკის დაბადების ასი წლისთავის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად იყო ჩამოსული. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი პ. პოსპელოვი და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სამმართველოს უფროსის მოადგილე აკადემიკოსი მ. მიტინი.

ამავე დღეს საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელ მუშაკთა თანხლებით ბაზრობა-გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის ელჩმა პოლონეთში ამხანაგმა ა. არისტოვმა.

გამოფენაზე ვარშავის კულტურის სასახლის მეორე სართულის მთელი ცალკე ფლიგელი დაეთმო საბჭოთა ლიტერატურას. აქ გამოფენილი იყო ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 55 ტომი, მარქსისა და ენგელსის შრომები და სხვ.

ბაზრობა-გამოფენის საინფორმაციო ბიულეტენმა მაღალი შეფასება მისცა „მეცდუნაროდნაია კნიგას" მიერ წარმოდგენილ ექსპონატებს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ასზე მეტი დასახელების წიგნი წარმოადგინა. „მეჟდუნაროდნაია კნიგასათვის" გამოყოფილ ფლიგელში ეს წიგნები სამ სტენდზე განლაგდა. ერთი მათგანი ეჭირა სპეციალურად ამ გამოფენისათვის მიძღვნილ უზარმაზარ ალბომს, რომელიც პოლონურ ენაზე აცნობდა დამთვალიერებლებს ჩვენი გამომცემლობის საქმიანობას და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას დასაბამიდან დღემდე. ყოველ წიგნს ჰქონდა ანოტაცია ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამით პოლონელ მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნების შინაარსს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" სტენდები და ალბომი დაათვალიერა პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების მინისტრმა ლუციან მოტიკამ.

განსაკუთრებული ინტერესისა და ყურადღების ღირსნი გახდნენ ქართული წიგნებისა და ალბომებისადმი პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს კულტურისა და ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი პილენ ზატორსკა და ბულა ზენკოვი, რომელთაც გამოფენა-ბაზრობის ოფიციალური დახურვის შემდეგ კულტურისა და ხელოვნების დეპარტამენტისათვის, მათივე თხოვნით, გადავეცით ქართული წიგნები და ალბომი სათანადო წარწერებით.

გამოფენაზე ჩვენი გამგზავრების მთავარი მიზანი იყო პროპაგანდისტული და საკონსულტაციო მუშაობა ბაზრობა-გამოფენის მონაწილეთა შორის. ჩვენი მრავალფეროვანი საგამომცემლო მუშაობის გამუქება პოლონეთის პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ეს გახლდათ ავტორიტეტული გამოსვლა მსოფლიო კულტურული აუდიტორიის წინაშე. ამასთან ერთად დელეგაციის წევრებმა ვოცადეთ გავაცანით მასპინძლებს, თუ რა არის თარგმნილი პოლონური ლიტერატურიდან რუსულ და მოძმე ხალხთა ენებზე, შევისწავლეთ და შევაგროვეთ გამოფენაზე წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო ექსპონატები, მოვაწყვეთ შეხვედრები გამოფენის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებთან, გავუზიარეთ ერთმანეთს წიგნის გამოცემისა და გავრცელების გამოცდილება, დავსახეთ პერსპექტიული ღონისძიებანი ერთობლივი გამოცემებისათვის.

ვესტუმრეთ პოლონეთის რამდენიმე გამომცემლობას, რათა გავეცნობოდით ჩვენი მეგობარი პოლონელი ხალხის საგამომცემლო მუშაობის სტილს. ამ მხრივ შეხვედრები მეტად საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენი პოლონელი კოლეგები დიდი ინტერესით ისმენდნენ ჩვენი დელეგაციის წევრების საუბარს, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის გამოცემის სპეციფიკის საკითხებს ეხებოდა.

სამშობლოში დავბრუნდით საკმაოდ მდიდარი გამოცდილებითა და იმ მტკიცე რწმენით, რომ საჭიროა შეუნელებლივ ვიშრომოთ შემდგომი დახელოვნებისათვის, საგამომცემლო კულტურის ამაღლებისათვის.

ე. მაღრაძე,

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი. ვარშავის წიგნის საერთაშორისო XI ბაზრობა-გამოფენის საბჭოთა დელეგაციის წევრი.

მიწისქვეშა ბიძგების სერია ტაშკენტში

ტაშკენტი, 4 ივლისი. (საქდესი). დღეს სეისმურმა სადგურმა „ტაშკენტმა" აღნიშნა მიწისძვრის სერია — რვა ბიძგი. პირველი ბიძგი მოხდა 20 საათსა და 22 წუთზე ადგილობრივი დროით. ბიძგის ძალა შვიდ ბალს აღემატებოდა. შემდეგ ოთხი წუთის განმავლობაში სადგურმა აღნიშნა სამი ბიძგი სამი და უფრო ნაკლები ბალის ოდენობით. 20 საათსა და 34 წუთზე მოხდა ხუთ-ექვსი ბალი სიმძლავრის ბიძგი, ერთი წუთის შემდეგ — ოთხი ბალი სიმძლავრისა და 25 წუთის შემდეგ ნიადაგის რყევის სერია დამთავრდა სამბალიანი ბიძგით.

წინასწარი მონაცემებით, ქალაქში დაინგრა ძველი შენობები.

კომუნისტი

№ 8 გვერდი. ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1966 წ.

წყალი — მაცოცხლებელი

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ყვარლის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც თავიანთი ძალებითა და სახსრებით მოკლე ვადაში ააშენეს ხელოვნური წყალსაცავი, რომელსაც ვენახებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავად იყენებენ. მომავალში ეს წყალსაცავი 3.000 ჰექტარს მორწყავს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის ივნისის პლენუმის მასალებიდან.

რაიკომის მდივნის კაბინეტი ფრთხილად შეაღო, კახური ქუდი ჯოხზე ჩამოჰკიდა და კედელზე მიაყუდა.

დამხდურს გულითადად მიესალმა და სკამზე ჩამოჯდა. მდივანს მოხუცისათვის მისვლის მიზეზი არ უკითხავს, პირველადვე ოჯახის ავ-კარგი მოაყოლა.

— მე, — განაგრძო მოხუცმა, — ოჯახის გარდა სხვაც ბევრი რამე მაინტერესებს. გუშინწინ მე და ჩემმა მეგობარმა ახალგაზრდობა გავიხსენეთ, მახლობელ ტყეებში მტაცებლებზე წავედით სანადიროდ. დათვს გადავეყარეთ და სიცოცხლეს გამოვასალმეთ. შესვენების დროს ზღაპრულ ალაზნის ველს დავყურებდით და მის გასარწყავებაზე ვმსჯელობდით. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ წყალი გვაქვს და ვერ ვიყენებთ. ავიღოთ თუნდაც მდინარეები ჩაგურგურა და ბურსა. ხომ შეიძლება ისინი „ჩალიანის" ტაფობში დავუბდეთ. იქიდან გადაშვებული წყალი ასობით ჰექტარ მიწას გააჯერებს. მოდი ეს საქმე შენ ითავე.

რაიკომის მდივანი გივი ზაუტაშვილი წუთით ჩაფიქრდა, ქაღალდზე წრე შემოხაზა, ორი მხრიდან ისრები გაუკეთა და მოხუცს მიმართა:

—გმადლობთ, ჩემო გიორგი, ნამდვილად გონივრული წინადადებაა, თითქოს ჩემს ნაფიქრს ამბობ. ყველაფერს ვიღონებთ, რომ „ჩალიანში" წყალი დავუბდეთ. იგი ჩვენს რაიონს დიდ დოვლათს შემატებს.

რამდენიმე დღის შემდეგ პარტიის ყვარლის რაიკომში „ჩალიანის" წყალსაცავის მოწყობაზე მსჯელობდნენ. წყალთა სასისტემო სამმართველოს, სატყეო მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მნიშვნელოვანი წინადადებანი წამოაყენეს და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ დიდ სახალხო საქმეში თავიანთ წვლილს შეიტანდნენ.

ყვარელი, ქიაანი, კუჭატანი, წიწკანანთხევი — საიდან არ დაიძრა ხალხი. როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა. ღრმა ხეობებში ბარი, თოხი, წერაქვი თუ ნაჯახი ამხაურდა. პირველ რიგში „ჩალიანის" ქალ-ბარდს შეებნენ. იყო ასწლოვანი ხეებიც, რომლებიც ტრაქტორებმა ძირიანად ამოწყვიტეს და შორს გაათრიეს. ტურა-მელას ბუნაგი მოუსპეს. ჩაგურგურის გასასვლელში დიდი ჯებირები აავეს. მდინარეს „ჩალიანისკენ" უქნეს პირი. მალე ბურსის ერთ ტოტსაც ასეთივე ბედი ეწია. ნაგუბარში წყალი ჩადგა. მთების გულში დაიბადა ექვსი მილიონი კუბმეტრი ტევადობის წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა „ყვარლის ზღვა" უწოდა.

დასვენების დღეებში თუ ყოველ საღამოს ცადატყორცნილი წიფლებითა და ცაცხვებით შემორკალულ „ზღვაზე", რომელსაც მაღალი მთები დასდგომია გუშაგად, ყვარლის და მეზობელი რაიონებიდან დიდძალი ხალხი მიდის. გლისერებით სეირნობა, ცურვა, ანკესობა — ვინც რას მოისურვებს. აქ დასვენებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. „ზღვაში" გადამდგარ კაფე-რესტორანში დამსვენებლები გემრიელ საჭმელებს შეექცევიან.

„ყვარლის ზღვა" რაიონის მშრომელებს სხვა უფრო დიდ სიკეთეს ჰპირდება. სპეციალისტებმა იანგარიშეს და დაადგინეს, რომ იგი სულ ცოტა სამი ათას ჰექტარ ყანებსა და ბაღ-ვენახებს გაასარწყავებს. ამ მიზნით დიდი მუშაობა მიმდინარეობს. დამთავრდა „ზღვიდან" ბარში წყლის ჩამოსაყვანი გრძელი დიუკერის მშენებლობა. ახლა „სამგორწყალმშენის" ჩალისუბნის მუშაკები ჩქარობენ ხუთასი მილიმეტრი დიამეტრის მილების ჩაწყობას. უბნის უფროსი ზ. რუსიაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი შ. სუჯაშვილი, მუშები შ. და პ. ბაგაურები, ყ. თედიევი თუ სხვები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მივიდეს მაცოცხლებელი წყალი ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, ენისელის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის, ქიაანის, კუჭატნისა და სხვა კოლმეურნეობათა ველ-მინდვრებში, ზვრებში.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ველ-მინდვრები მეტად ნაყოფიერია, მაგრამ, როგორც კი გვალვა დაიწყება, მიწას „პირი" უშრება, ნაპრალები ჩნდება. ნათესები ზიანდება. არც ვენახს ადგება კარგი დღე. არის ადგილები, სადაც სიცხე ყურძენს მთლიანად აჭკნობს. ყოველწლიურად კოლმეურნეობის სალაროს დიდი შემოსავალი აკლდება.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებამ დიდი გულისყურით განიხილა საკითხი — „სკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და ახალსოფლელთა ამოცანები". კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მიხეილ არჩუაშვილმა სიტყვა ითხოვა და თქვა:

— პლენუმის დიადი გადაწყვეტილებანი ცხოვრებით არის ნაკარნახევი. თუ არა წყლის სიკეთე, რაც უნდა ბევრი ვიშრომოთ, გვალვას ვერ ვჯობნით, მოსავლიანობას ვერ გავადიდებთ. ჩვენ საშუალება გვაქვს პლენუმის ჩანაფიქრს საქმით ვუპასუხოთ. მდინარე შოროხი რამდენიმე დღეში ხალხის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ. მდინარიდან არხის გაყვანა არ გაგვიჭირდება, დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

კოლმეურნეობის თავკაცის ნათქვამს ერთმა და ორმა კი არა, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ბრიგადირმა ა. შაროვმა, მექანიზატორმა ზ. სუხიტაშვილმა და სხვებმა არხის გასაყვანად კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს. პარტიული კრების გადაწყვეტილება მთელმა სოფელმა მოიწონა.

დაიწყო შეტევა. შოროხის ხეობა ბულდოზერებმა და ექსკავატორებმა აახმაურა. იმ ადგილებს, სადაც მძლავრმა მანქანებმა ვერ იმუშავეს, კოლმეურნეები ბარითა და წერაქვით მისივნენ. ა. ფოცხვერაძე, ი. ჩოხადარი, გ. კაკალაშვილი, ვ. პაპლიაშვილი და სხვები დილიდან ღამემდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შრომა დაფასდა. 12 დღის შემდეგ შოროხი არხით დაეშვა ახალსოფლელთა ველ-მინდვრებისა თუ ზვრებისაკენ.

არხის გაყვანა ერთია, მაგრამ მთავარი მაინც მისი ნაყოფიერად გამოყენებაა. ახალსოფლელები ამ მხრივაც საქებარი არიან. ლ. კაკაშვილი, რომელმაც შარშან 0,5 ჰექტარ ვენახში 80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, დილიდან გვიან ღამემდე ვენახში ტრიალებს, ვაზის ძირებს წყალს უმარჯვებს. ვენახებს რწყავენ ზ. ბადაშვილი, ქ. ბუჩხრიკიძე და ათობით სხვ. ვაზმა წყლის სიკეთე იგრძნო. ერთი ჰექტარიც კი არ იქნება ისეთი, რომლიდანაც 80 ცენტნერზე ნაკლები ყურძენი მოვიდეს. ახალსოფლელები სახელმწიფოსათვის 7.500 ცენტნერი ყურძნის მიყიდვას ვარაუდობენ. ეს 20-30 პროცენტით მეტი იქნება წინანდელზე.

მდინარე შოროხიდან და ფშებიდან გაყვანილი არხებით ახალსოფლელები წელს 460 ჰექტარ ფართობს რწყავენ. ძვირფასი ერთწლოვანი კულტურა ბაზილიკი ორმოც ჰექტარზეა დარგული. გეგმით ჰექტარზე 120 ცენტნერი უნდა მიიღონ. ფაქტიურად ორას ცენტნერზე ნაკლები არ იქნება. ასე იცის წყალმა.



ახლა სიმინდი? ჰექტარზე საშუალოდ გეგმის ზევით 10-15 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ. ჰარხალიც ბევრი აქვთ დათესილი. მოსავლიანობის დავალება ორასი პროცენტით შესრულდება. ყველაფერი რომ ვიანგარიშოთ, წელს წყალი სულ ცოტა ორასი ათას მანეთს შემატებს ახალსოფლელებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სიღნაღელთა და კასპელთა თაოსნობის სახელოდ შესასრულებლად ნაყოფიერად მუშაობს შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. სეფაშვილი). მდინარე ჩელთიდან ვქძისხევამდე საკმაოდ დიდი არხი გაჰ-რეს. აქედან წყალი მიედინება ვენახებისაკენ, რომელთა ფართობი ოთხას ჰექტარს აღემატება. არხის გაყვანაზე გაწეულ შრომას შილდელები წელსვე ორმაგად აანაზღაურებენ. წინა წლებთან შედარებით სახელმწიფოს ორი ათასი ცენტნერით მეტ ყურძენს ჩააბარებენ.

გავაზის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე უ. ამულაძე) ტერიტორიაზე ბარანის ფშის წყალი უქმად მიედინებოდა. არც სხვა ფშების წყალი იყო გამოყენებული. გამგეობამ გადაწყვიტა და ფშების წყლით სავუბარის მორწყვა მთელმა სოფელმა მოიწონა. კოლმეურნეებმა ბეჯითად იშრომეს. მოკლე დროში ბარანის სავუბარი მწყობრში ჩადგა. აქედან მაცოცხლებელი წყალი ბაზილიკის პლანტაციებსა და სიმინდის ნათესებში მიედინება. ას ჰექტარზე მეტი ირწყვება.

ახალსოფლის მარჯანიშვილის, ქიაანის მარქსის სახელობის, ენისლის, ყვარლის — რომელი ერთი ვთქვათ — თითქმის ყველა კოლმეურნეობამ ერთიორად გაადიდა სარწყავი ფართობი.

— სკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად, — თქვა ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. მარდალეიშვილმა, — ყვარლელებმა ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ, მაგრამ ეს საკმარისად არ მიგვაჩნია. კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე მდინარეთა რესურსები დიდია და მთლიანად ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს. მარტო მომავალ წელს მცირე ირიგაციით სარწყავ ფართობებს ორი ათასამდე ჰექტარს შევმატებთ. მომავალ წლებში გაცილებით მეტი იქნება.

„ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოგვლებია. შენს მწვანე ველ-მინდორს! მზე და მთვარე შენი მეგობრებია, მათი სინათლე და ბრწყინვალება მომხიბვლელად ამკობს შენს სურათს..." კახეთს მალე უმეგობრებენ აგრეთვე კავკასიონის ზვიადი მთებიდან მომდინარენი მდინარენი. გულს გაულბობენ მიწას, გაამრავლებენ ხვავს და ბარაქას. გლეხიკაცის შრომა ორმაგად დაფასდება.

ს. ქოჩლაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათებზე: ზემოთ „ყვარლის ზღვა"; ქვემოთ მარცხნივ — „ყვარლის ზღვიდან" წყალი გაჰყავთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ველ-მინდვრების, ზვრების მოსარწყავად; მარჯვნივ — ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახების რწყვა მდინარე შოროხიდან გაყვანილი არხით.

ფოტო ვლ. გინზბურგისა („კომუნისტი") და მ. თელიაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოკლედ

◆ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (თბილისი) მოეწყო ა. გელოვანის რომანის „ავეტი ნათლისა" საჯარო განხილვა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, პოეტებმა, მეცნიერმა მუშაკებმა, მკითხველებმა, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. მათ აღნიშნეს, რომ რომანი მხატვრული გემოვნებით არის დაწერილი და მკითხველები მას სიამოვნებით მიიღებენ.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ავტორი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მკითხველებს განხილვის მოწყობისათვის და გაზიარა ცალკეული შენიშვნები.

◆ ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა კლუბთან საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნა პიონერთა და მოსწავლეთა სახლი. უკვე მუშაობა დაიწყეს ავტომოდელთა, გემთმოდელთა, ხატვის, ჭრა-კერვის და სხვა წრეებმა. ამ წრეებს ხელმძღვანელობენ და შეფობას უწევენ ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაკები.

◆ ჭიათურა. (საკ. კორ.) ქართველ და უკრაინელ გეოლოგებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ.

ახლახან ნიკოპოლში იყო ჭიათურელ გეოლოგთა დელეგაცია. ქართველი გეოლოგები გაეცნენ უკრაინელ თანამოსაქმეთა შრომასა და ცხოვრებას. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

ა. ვ. ურუშაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე აკაკი ვლადიმერის-ძე ურუშაძემ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ვ. ურუშაძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

სტარტზე არიან „მუშკეტერები"

დღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს ჩემპიონატი ფარიკაობაში. ეს იქნება სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი, დიდი შეჯიბრება. მასში მონაწილეობას მიიღებენ 32 ქვეყნის გამოჩენილი „მუშკეტერები" — საფარიკაო ბილიკის საყოველთაოდ ცნობილი ოსტატები. ასეთი შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში პირველად ეწყობა. იგი ცხადყოფს საბჭოთა მოფარიკავეების წარმატებათა მსოფლიო აღიარებას.

ჩემპიონატში პირველად გამოდიან ირანისა და მაროკოს წარმომადგენლები. ნორვეგიის გუნდის ადგილს, რომელმაც უარი განაცხადა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, დაიკავებენ კუბელი მოფარიკავეები. სპორტის სასახლე ჩემპიონატისათვის მზად არის. ბრძოლა წარიმართება თხუთმეტ საფარიკაო ბილიკზე, რომელსაც ელექტროფიქსატორები აქვთ. ტრადიციისამებრ ინფორმაცია ფრანგულ ენაზე იწარმოებს. პირველობას მოემსახურება ორმოცზე მეტი არბიტრი.

ჩემპიონატს დაესწრება ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პიერ ფერი (საფრანგეთი). ფერიმ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მოფარიკავეთა ფორუმისათვის ყველაფერი ჩინებულად არის მომზადებული. მისი აზრით ფავორიტები არიან ინგლისისა და უნგრეთის, იტალიისა და პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მოფარიკავეთა კოლექტივები და, რასაკვირველია, „ერთა პრიზის" მფლობელი — სსრ კავშირის გუნდი.

დღეს საფარიკაო ბილიკზე გამოვლენ რაპირისტები. ხვალ ცნობილი გახდებიან პირველი ჩემპიონები. მსოფლიოს პირველობა ფარიკაობაში 16 ივლისამდე გაგრძელდება.

მოულოდნელობათა ტური

გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში, რომლის შედეგებმა თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა სატურნირო ცხრილში. შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით და მოულოდნელობებით.

ლიდერმა — კრასნოდარის „კუბანმა" საკუთარ მოედანზე ქულა დაკარგა გროზნოს „თერეკთან" მატჩში (0:0) და თხუთმეტი თამაშიდან შეგროვილი 20 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. სამაგიეროდ ვილნიუსის „ჟალგირისმა" დაამარცხა ვოლგოგრადის „ტრაქტორი" 2:1 და 21 ქულით ლიდერი გახდა.

თბილისის „ლოკომოტივისათვის", რომელსაც სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი ეჭირა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს ბათუმში ადგილობრივ „დინამოსთან". ლოკომოტიველები დამარცხდნენ 2:3 და გაიუარესეს პოზიცია. მათ 15 თამაშიდან 17 ქულა დარჩათ. ბათუმელებს კი ამდენივე მატჩიდან 13 ქულა აქვთ.

18 ქულა აქვს ივანოვოს „ტექსტილშჩიკს". ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ქულა შეაგროვეს ყაზანის „რუბინმა" (14 თამაშიდან), კიროვაბადის „დინამომ", რ-გის „დაუგავამ" და გროზნოს „თერეკმა" (15 თამაშიდან).

რეკორდი ცისფერ ბილიკზე

მოსკოვის ლუჟნიკის 50-მეტრიან აუზში დამყარებულია სსრ კავშირის ახალი რეკორდი. ხარკოველმა ტატიანა დევიატოვამ 200 მეტრი ბატერფლაის სტილით გაცურა 2 წუთსა და 37,3 წამში და 4,3 წამით გააუმჯობესა ჩვენი ქვეყნის წინანდელი რეკორდი. (საქდესი).

კომუნისტი სპორტი

„ოქროს ქალღმერთის" მერიდიანზე

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირამდე ხუთიოდე დღე დარჩა. დასკვნითი ტურნირის მონაწილენი ინგლისში ჩადიან და იქ განაგრძობენ წვრთნას. მასპინძელთა მეტოქენი წინასწარ ჯგუფში უკვე ეწვივნენ ლონდონს. ესენი არიან საფრანგეთის, მექსიკისა და ურუგვაის გუნდები. თვით ინგლისის ნაკრები ჯერ სამშობლოში არ დაბრუნებულა. გუშინ გვიან ღამით მათ უკანასკნელი საკონტროლო მატჩი ჰქონდათ პოლონეთში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან.

გარდა ზემოთ დასახელებული გუნდებისა ინგლისში არიან — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, არგენტინისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

ჩემპიონატის გარშემო მიმდინარეობს გაუთავებელი პროგნოზები. უკანასკნელ სენსაციას წარმოადგენდა უნგრეთის ფეხბურთის ასოციაციის მდივნის დიერდ კონეის განცხადება პრეს-კონფერენციაზე. მისი აზრით ბრაზილიელები ვერ შეინარჩუნებენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, ისინი ფინალშიც კი ვერ გავლენ. კონეი აღნიშნავს, რომ ბრაზილიის ნაკრები ჩინებული კოლექტივია, მაგრამ მას მიაჩნია — პირობები, რომელშიც მოეწყობა ტურნირი სამხრეთ-ამერიკული გუნდებისათვის სასიამოვნო როდია.

ბრაზილიის ნაკრებმა შვეციის საკლუბო გუნდ „აიკის" წინააღმდეგ მატჩში გაიმარჯვა 4:2 (2:0). ბრაზილიელებიდან ბურთები გაიტანეს: პელემ — 2, გარინჩამ და ლიმამ — თითო. ჩემპიონი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მანგა, ჯალმა სანტოსი, ბრიტო, ალტაირი, რილდო, დენილსონი, ჟერსონი, გარინჩა, ლიმა, პელე, ედუ.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა განაცხადა — უკვე განსაზღვრულია ვინ ითამაშებს ინგლისში. გუნდს აწუხებს მეტრეველის, სერებრიანიკოვისა და სიჩინავას ტრავმები. მაგრამ კოლექტივი საბრძოლო განწყობილებაშია. პირველი მატჩი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ძნელი იქნება, რადგან ამ კოლექტივს კარგად არ ვიცნობთ.

◆

რსფსრ-ის მეოთხე ზონაში

გუშინ გაიმართა რსფსრ-ის „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

სოხუმის „დინამო" საკუთარ მოედანზე თამაშობდა კრიმსკის „უროჟაის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

ფოთში ერთმანეთს შეხვდნენ „კოლხიდა" და მაიკოპის „უროჟაი". წარმატება მასპინძლებს ხვდათ 2:1.

ორი ლიდერი

ბათუმში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. გუშინ გაიმართა მეთორმეტე ტური.

წარმატებით იბრძოდა უბილავა პოლონელი მოჭადრაკის დოდას წინააღმდეგ და გაიმარჯვა. სატურნირო ცხრილში ქულა ჩაიწერა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა გიორბაძემ. მან დაამარცხა იუგოსლაველი ველიმიროვიჩი. ჯინჯიხაშვილმა ბულგარელი პოპოვის წინააღმდეგ უარესი პოზიცია მიიღო და დამარცხდა.

ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში მინიჩ-ფილდიმ და ცინი-ბაგიროვმა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გურგენიძეს უკეთესი პოზიცია აქვს კოლაროვთან (ბულგარეთი), იანსას — კურაიცასთან, შიტილკის — ბუსლაევთან.

თორმეტი ტურის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან იანსა და ბაგიროვი, რომლებსაც შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. გურგენიძეს — 7 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

6 ივლისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — უკანასკნელი მასკარადი (საღ. 7 ს. და 30 წ.), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში (მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრი) — ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება, სპორტის სასახლე — მარინო მარინი და ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი (იტალია) დასაწყ. საღ. 8 ს.

ტელევიზია

6 ივლისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 20.00 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა" — „ჩაის პლანტაციების მორწყვა უხვი და მყარი მოსავლის საფუძველია" (სტუდიაში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი გ. მესხი), 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა — „ხალხური სიმღერის ოსტატები" — ილია ფალიანი, 21.05 — კინონარკვევი, 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „თავდასხმა", 23.15 — „ტაგანკის თეატრი" — მოსკოვის დრამისა და კომედიის თეატრის შემოქმედებითი საღამო.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 17. ს. 45 წ.

7 ივლისი

11.00 — ლექცია-საუბარი მათემატიკაში მისაღები გამოცდების მანქანებით ჩაბარების შესახებ, 12.40 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 17.00 — მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 20.10 — განცხადებები, 20.15 — გადაცემა — „ტექნიკური პროგრესის კომბინატი", 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — გადაცემა — „ქართველი კომპოზიტორები" — ოთარ თევდორაძე, 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — რუმინული მხატვრული ფილმი „1900 წლის კაპრიზები" (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 17 საათსა და 55 წუთზე.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ექიმი და თვალისჩინი

ვბრუნდები რა შინ, ალტაიში გლაუკომის ოპერაციის გადატანის შემდეგ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ჩემდამი გულთბილი და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის... გმადლობთ, ძვირფასო პროფესორო, მზრუნველობისათვის, ჰუმანურობისათვის, ადამიანურობისათვის. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სიცოცხლისათვის მძიმე პერიოდში თქვენ შეგხვდით...

მადლიერი ნიკოლოზ სმირნოვი".

ასე წერდა ერთ-ერთი ყოფილი ავადმყოფი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ბერაძეს. ანალოგიური ხასიათის წერილები არა ერთი და ორი მოაქვს ფოსტას მისამართით: თბილისი, წინანდლის ქ. № 9. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკა (ეს კლინიკა ქალაქის პირველი საავადმყოფოს თვალის განყოფილების ბაზაზე არსებობს). მათი ადრესატები არიან თეთრხალათიანი თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანები — თვალის ექიმები, რომლებიც დღისით და ღამით, საქმიანო და უქმე დღეებში სკალპელით ხელში დგანან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. ვინ მოთვლის, რამდენი კაცისათვის დაუბრუნებიათ აქ მხედველობა; რამდენისათვის აუხელიათ თვალი.

— თვალი აეხილათ, — ადვილად იტყვის ენა, მაგრამ აბა ჰკითხეთ თვალის ექიმს, რამდენი შრომისა და ბრძოლის, შეუპოვარი ძიების, თეთრად გათენებული ღამეების შედეგია იგი. აბა ჰკითხეთ იმ ადამიანს, რომელსაც მხედველობა დაუბრუნდა, და ის გეტყვით, რა განუზომელი სიხარულის მომგვრელია თვალის ჩინის დაბრუნება ადამიანისათვის, რომელიც ვერ ხედავდა, ბრმა იყო.

ადამიანისათვის მხედველობის დაბრუნება ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა. ხელის ერთი დაკვრით არ კეთდება ასეთი დიდი საქმე. იგი მედიცინის მუშაკთა მთელი კოლექტივის შეთანხმებულ, შეხმატკბილებულ მუშაობას მოითხოვს. ამიტომ მართალია კლინიკის ხელმძღვანელი ნ. ბერაძე, რომ ამბობს: თვალის სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კლინიკისა და განყოფილების მიერ მოპოვებული ცალკეული წარმატებები მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია და არა გამოჩენილ ერთეულთა ვირტუოზობისა.

ამაში დარწმუნება იოლია, თუ ყურადღებით გაეცნობით ამ დიდი კოლექტივის საქმიანობას. აქ ყველა ერთი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, რომ ავადმყოფს რაც შეიძლება შეუმსუბუქონ მდგომარეობა, რომ რაც შეიძლება ხშირად იღებოდეს საავადმყოფოს კარი განკურნებული ადამიანების შინ დასაბრუნებლად.

ეს მიზანი ამოძრავებს კლინიკის გამგეს, კარგ ორგანიზატორსა და საუკეთესო ოპერატორს, რესპუბლიკის მთავარ ოფთალმოლოგს ნიკოლოზ ბერაძეს და ახალგაზრდა პროფესორს ჯიმშერ ანთელავას, შრომისმოყვარე დოცენტებს ეთერ ჭონიას და ვიქტორ ცინცაძეს, ღვაწლმოსილ ავადმყოფთა მოვლასა და მკურნალობაში თმაშევერცხლილ ექიმებს ელისაბედ სარჯველაძეს და ტატიანა წიგწივაძეს, ექიმებს თინათინ ზამთარაძეს, მარინე ნაჭყებიას, ნელი წერეთელს, ლილი ალავიძეს, გერონტი ზურაბოვს... საოპერაციო დას ივგენია ხოხობაშვილს, ექთან თინათინ ღოღელიანს, სანიტრებს ანიკო ალხაზიშვილსა და ვართანუშ აივაზოვს.

სამწუხაროდ, ერთ საგაზეთო წერილში ყველას ვერ ჩამოთვლი, ყველას ღვაწლსა და ამაგს ვერ აღნუსხავ.

შესანიშნავი კოლექტივია. სულ ახლის ძიებაში არიან. საქმიანი კონტაქტი აქვთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე კლინიკებთან. ამას წინათ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ნაჭყებია და ექიმი გ. ზურაბოვი ოდესაში იყვნენ მივლინებულნი, ხოლო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ჭონია — ხარკოვში, რათა გასცნობოდნენ ამ კლინიკებში შექმნილ მდიდარ გამოცდილებას. თავის მხრივ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკაში კვალიფიკაციას იმაღლებენ, თვალის მკურნალობის ახალ ხერხებსა და მეთოდებს ეუფლებიან ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მომუშავე თვალის ექიმები, აგრეთვე ოფთალმოლოგთა მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლები მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

ამ კლინიკაში ზედმიწევნით იყენებენ მედიცინის მეცნიერებათა უახლეს მიღწევებს თვალის დაავადებათა სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის. აქ გაბედულად ნერგავენ პრაქტიკაში ახალსა და პროგრესულს. აი ერთი მათგანი.

უხსოვარი დროიდან არის ცნობილი ავადმყოფობა — თვალის კატარაქტა (ბროლის შემღვრევა). კატარაქტის დროს სუბიექტური შეგრძნებებიდან აღსანიშნავია მხედველობის დაქვეითება და მონოკულარული პოლიოპია (ავადმყოფი სინათლის ერთი წყაროს ნაცვლად მრავალს ხედავს). ხანგრძლივი ისტორია აქვს კატარაქტის ოპერაციული მკურნალობის წესსაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ეგვიპტეში 2.500 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰყავდათ თვალის ექიმები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ ქირურგიულ ჩარევასაც ახდენდნენ, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ცელსი სპეციალური რკინის წვრილი ჩხირებით ქვევით აცდენდა ბროლს და ამით ათავისუფლებდა გუგას შემღვრეული ბროლისაგან. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა კატარაქტის ოპერაციის ხერხები და მეთოდები. მეთვრამეტე საუკუნის 50-იან წლებში ფრანგი ოკულისტი დავიელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც შემღვრეული ბროლის ამოღებას შეეცადა. 1891 წელს რუსი ექიმი ვოლკოვის მიერ მოწოდებული იქნა კატარაქტის ოპერაცია — ბროლის ამოღება ჩანთასთან ერთად.

ახლახან კი ოფთალმოლოგთა შორის მსოფლიო აღიარება ჰპოვა პოლონელი მეცნიერის პროფესორ თ. კრვავიჩის კრიოექსტრაქციის მეთოდმა (1961 წ.) რომელიც ბროლის ჩანთის მკვეთრად გაცივებულ ლითონის ინსტრუმენტთან მიყინვაზეა დაფუძნებული. ჩვენი მკითხველებისათვის არც ის უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, რომ პროფესორმა თ. კრვავიჩმა პირველად სწორედ თბილისში (ოფთალმოლოგთა საკავშირო კონფერენციაზე) ამცნო თვალის ექიმებს კატარაქტის კრიოექსტრაქციის პირველი შედეგების შესახებ. ამ მეთოდით ოპერაციის გაკეთების უპირატესობა ის არის, რომ უფრო ნაკლებად ხდება ბროლის ჩანთის ჩახევა და ბროლის ჩაღვრა.

რამდენიმე წლის წინათ ამ მეთოდით ოპერაციები დაიწყეს საბჭოთა კავშირის ცალკეულ კლინიკებში, და მათ შორის თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკაშიც. აღსანიშნავია, რომ ოპერაციის გასაკეთებლად საჭიროა მშრალი ყინული. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უმრავლესობა მოკლებულია ასეთი სახის ყინულს. გამოდის, რომ ახალი მეთოდით კატარაქტის ოპერაციის ჩატარება შესაძლებელია უმთავრესად თბილისში.

დოცენტმა ნ. ბერაძემ და ექიმმა გ. კონტრიძემ, გაითვალისწინეს რა კრვავიჩის მეთოდით კატარაქტის ოპერაციის გაკეთების ხელმისაწვდომობა ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ყველა თვალის ექიმისათვის, დაბეჯითებით შრომა, ძიება გამარჯვებით დაგვირგვინდა — კრიოექსტრაქტორში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ამ გამარჯვებაში სასარგებლო კონსულტაციით თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. ნ. ბერაძისა და გ. კონტრიძის მიერ გაუმჯობესებულ კრიოექსტრაქტორში მშრალი ყინული ნახშირორჟანგის გაზმა შეცვალა. ახლა გაზის კრიოექსტრაქტორით ოპერაციის გაკეთება შეიძლება ყოველ დასახლებულ პუნქტში, რადგან ნახშირორჟანგის გაზის სტანდარტული ბალონის ადგილზე მიტანა და შენახვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

გაივლის ცოტა ხანი, და კატარაქტით დაავადებულ ავადმყოფებს ოპერაციის გასაკეთებლად აღარ დასჭირდებათ ათობით და ზოგჯერ ასობით კილომეტრის გავლა, თბილისში ჩამოსვლა. სოფლებსა და დაბებშიც კი შესაძლებელი იქნება ამ ოპერაციის გაკეთება მედიცინის მეცნიერებათა უახლესი მიღწევების დონეზე.

კლინიკა და განყოფილება ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან არა მარტო თვალის დაავადებათა სამკურნალოდ, არამედ ასევე შეუპოვრად იბრძვიან თვალის სნეულებათა თავიდან ასაცილებლად. კლინიკისა და განყოფილების მუშაკებმა მარტო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში მრავალი მუშა-მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს გლაუკომის ნაადრევი გამოვლინებისა და საწარმოო ტრავმატიზმთან ბრძოლის მიზნით.

მომავლის გეგმები?

დიდი და მრავალფეროვანია. მაგრამ ახლა დეტალურად არ ვილაპარაკებთ ამაზე. ერთი რამ კი თამამად შეიძლება ითქვას — მათს ყოველ გეგმასა და ჩანაფიქრს წითელ ზოლად გასდევს უკეთილშობილესი მიზანი: ზრუნვა ადამიანისათვის, მისი ჯანმრთელობისათვის, მისი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ვაჟა მეგუკე.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-08, 9-08-09, პ/მ მდივნის — 9-73-60, სმდივნობა — 9-66-10, განყოფილებების: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-24, სოფლის მეურნეობის — 9-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-83, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები